საქართველო

მიიღება განცხადებები
სტრიქონი პეტიტი 1-ლ გვერდზე 4 მანეთი მე-4-ე გვერდზე—3 მანეთი. გარეშე ქრონიკაში შეთანხმებით სტრიქონზე არა ნაკლებ 6 მან.
სამგლოვიარო განცხადება—120 მან. 30 სტრიქონის. ორი საათის შემდეგ სტამბაში 150 მან.

გაზეთის გამოწერა ერთი წლით 1000 მან. შეიძლება ნაწილ ნაწილად გადახდა.
6 თვით 600 მ., 3 თვით 300 მან.
კონტორა ღიაა 9 ს.—3 ს. და საღ. 5—7 ს. უქმე დღეებში კონტორა დაკეტილია.
მისამართი: თბილისი, სასახლის ქ. № 5. კონტორის ტელეფ. 5—73.

წელიწადი მეექვსე
კვირა. მარტი 7 1920 წ. № 51
ფასი 5 მან.

გაზეთ „საქართველო“-ს გასაყიდად

ქუჩებში გვესაჭიროება მორბედი

ბავშვები

იკითხეთ გაზეთ „საქართველოს“ კონტორაში.

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ალექსანდრა ნიკოლოზის ასული, შვილი ნინო, ძმა ალექსი მიხუზ ები, და მარიამ ჯაყელისა, ძმის წულები და ცოლის დიბი მეუღლეებით აცნობებენ ნათესავთა და მეგობრებს, რომ კვირას 7 ამ. მარტს, ქვაშვეთის ეკლესიაში დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარის ბელეტრისტ

იასე რაჭველის (მ ხუზულას)

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე პანაშვიდი დღის 1 საათზე 2934 1—1

სახელმწიფო თეატრი

ევლახიშვილის ხელმძღვანელობით

დღეს მარტის 7-ს

დილით **ევგენი ონეგინი**

კვირას 7-ი მარტიდან თბილისში გამოვა ყოველკვირეული გაზეთი

„სასოფლო გაზეთი“

„სასოფლო გაზეთს“ ექნება შემდეგი განყოფილებანი: საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მესაქონლეობა, [illegible] და მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა, სასოფლო ცხოვრება.

„სასოფლო გაზეთში“ მონაწილეობას იღებენ მცოდნე სპეციალისტები და გამოცდილი მეურნენი.

რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში.

გაზეთს რედაქტორობს ნიკო კაიშაური.

რედაქცია იმყოფება დამფუძნებელ კრების (სასახლის) ქუჩაზე № 5, გაზეთ „საქართველოს“ ბინაზე. გაზეთის ფასი თვიურად 12 მან. თითო ნომერი 3 მან. 4 3 7

ქიმერიონი

ქართველ მწერალთა კლუბი
(რუსთაველის პრ., 21,)

ყოველ დღე დილის 1—5 საათამდე.

◆●◆ სადილი ◆●◆

კვირას 7 და ორშაბათს 8 მარტს
ქართული საღამოები

1. ღალატი
ტრაგედია სამ[illegible] კაცებისთვის ორი მოქმედებით

2. ლ. გუდიაშვილის გაცოცხლებული სურათი
◆ ქალაქ გარეთ ◆
პოეზია ა. ახნაზაროვისა.

მასპრომტები

მონაწილენი: ქ. ქ. ანჯაფარიძე, პ. გამრეკელი, ს. [illegible], ა. [illegible], ელ. ციმაკურიძე, ბ. ბ. მ. [illegible], ა. ვასაძე, დ. [illegible], გ. [illegible], მ. ჭიაურელი, გ. სარგელიძე, მ. [illegible], შ. ღამბაშიძე.

ხელმძღვანელი კონსტან ანდრონიკი.

კოსტიუმისეთ შავი ნიღაბი. დასაწყისი საღ. 10 ნახ. საათზე.

მეორე ქართული კლუბი

(პლეხანოვის პროსპექტი № 129)

კვირას, 7 მარტს,

წლიური საზოგადო კრების
გაგრძელება

დასაწყისი დილის 10 საათზე. 39 1—1

ამიერ-კავკასიის ბანკი

აცხადებს, რომ მარტის 15-ს დღის 1 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

სპარსულ ხალებით

რომლებიც იყო დღემდე დაგირავებული და გამოუხსნელი.

ხალების გასინჯვა შეიძლება ვაჭრობის დღით ბანკის საწყობში სასახლის ქუჩაზე № 4. 2932 3—1

დუშეთის მაზრის ერობას
საჭიროებს

ორ რაიონის აგრონომს და სამ ინსტრუქტორს,

მცოდნე მევენახეობისას, მეორე მებაღე-მებოსტნეობისა და მესამე მესაქონლე-მერძეობისას

აგრონომებს ჯამაგირი 5500 და საგზაო 1500 მან.

ინსტრუქტორებს 4000 მან. და საგზაო 1000 მან.

თხოვნები უნდა გაიგზავნოს ქალ. დუშეთში დუშეთის ერობის გამგეობაში. საჭიროა დაწვრილებითი აღწერა მათი მოღვაწეობის და განათლების სამეურნეო დარგში მიღების შესახებ.

სახელმწიფო თეატრი

სამშაბათს 9 მარტს

ქართველი მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება

წელს პირველად ცნობილი ზღაპარი—ფეერია ი. გედევანიშვილისა

სინათლე

5 ნაწ. 7 სურ.

მონაწილეობას მიიღებენ: სახელმწიფო თეატრის ორკესტრი, ხორო და ბალეტი ვაკარეცის ხელმძღვანელობით.

მსახიობნი: აბაშიძე რ., ქიქოძე ი., ციმაკურიძე ელ., ანკარა, ჩხეიძე ა., მაჭავარიანი ნ., ნინო; გამყრელიძე ვ. ჭიაურელი მ., ცაციშვილი ნ., ღამბაშიძე შ., ფრანგიშვილი პ., მატარაძე ვ., ჟღენტი ი., ვასაძე ა., სარჩიმელიძე გ., სარაული მ., ჩაგუნავა ნ., საფარიძე ზ., თარალაშვილი ი. და სხ.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში

38—3—1 დასაწყისი 7 ნახ. საათზე.

ქ. თბილისში

15 მარტისთვის მოწვეულია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ქალაქების და ერობების

მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენლების

ყრილობა

ყრილობა გაიხსნება საღამოს 6 საათზე ქალ. თვითმართველობის დარბაზში.

დელეგატები უნდა გამოცხადდნენ ქ. თვითმართველობაში მუშა-მოსამსახურეების კავშირში, მესამე ქართულ თავისუფლების მოედანზე.

2926 3—1 საორგანიზაციო კომიტეტი

კახელ მევენახეთა კოოპერატიული საზოგადოება

„კახეთი“-ს გამგეობა

აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოთ, რომ კვირას 21 მარტს თელავში 9 საათზე დანიშნულია

წევრთა საზოგადო კრება

განსახილველი:
1. წევრთა სიის გადასინჯვა.
2. განხილვა და დამტკიცება 1918—19 წლის ანგარიშისა.
3. განხილვა და დამტკიცება 1919—20 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა და მოქმედების გეგმისა.
4. გამგეობისა და საბჭოს მოხსენება.
5. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
6. წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლა და დამტკიცება.
7. ორი გამგეობის წევრის არჩევა ნაცვლად თავის ნებით გასული სტ. მიხ. პაატაშვილისა და რიგით გასული ჯ. სიმაიაშვილისა.
8. ორი საბჭოს წევრის არჩევა.
9. სამი სარევიზიო კომისიის წევრის არჩევა.
10. მიმდინარე საკითხები.

გამგეობა

ყოველთვიური ჟურნალი

„შვილდოსანი“

№ 2-3.

გამოვიდა და იყიდება. ფასი 80 მ. 5—1

პირველ-ხარისხოვანი

ცირკი „ქრისტენს“

ვერის დაღმართზე. ტელ. № 62

კვირას, მარტის 7-ს 1920 წ.

გაიმართება გრანდიოზული წარმოდგენა მთელი ტრუპპის და ახალი ატრაქციული ნომრების მონაწილეობით. გასტროლები ქვეყნიერობაზე ცნობილის, სახელოვან [illegible] პროტიზერისა და [illegible] თბილისის გამოჩენილი კინტო გ. [illegible] ფრანგული ჭიდაობის საერთაშორისო ჩემპიონატის გაგრძელება 1920 წლის ჩემპიონის სახელწოდებისთვის. ჭიდაობენ გამოჩენილი წყვილები: [illegible]

დასაწყისი 8 ნახ. საათზე. ჭიდაობა 10 ნახ. საათზე.

არბიტრი [illegible]

[illegible]

გამგე—[illegible], რეჟისორი—[illegible]

კვირას, 7 მარტს,

სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში

დანიშნულია ამავე უნივერსიტეტის სტუდენტ-მსმენელთა

საზოგადო წლიური კრება

დღიურ წესრიგში არის შემდეგი გასარჩევი საკითხები:
1. გამგეობის მოხსენება
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლა.
4. გამგეობის არჩევნები.
5. მიმდინარე საკითხები.

2935 1—1 სახ. უნივ. სტუდ. კავშირ. გამგეობა.

ექიმი

დ. ი. ჯაფარიძე

შინაგანი, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.

ავადმყოფის მიღება 12—1 ნახ. ს. დათიევის ქ. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელ. 16-65.

საქართველო და სამხრეთ რუსეთი

უკანასკნელ ხანში, თვალსაჩინო ცვლილება დაეტყო სამხრეთ რუსეთის ახალი მთავრობის განწყობილებას საქართველოს მიმართ.

დონ-ყუბან-თერგის ყაზახობამ, რომლის ხელის უფლება დამყარდა ამ ჟამად სამხრეთ რუსეთში, შესძლო თავის გავლენის სფეროში მოექცია გენერალი დენიკინი და მისი ძველი რუსეთის აღმდგენელი ლოზუნგები, უფრო დემოკრატიულ ლოზუნგებით შეცვალა. და ეს ადვილად ასახსნელიც არის: თავისუფლების მოყვარულ ყაზახობისათვის აუტანელი უნდა ყოფილიყო ის დესპოტიური დიქტატურა, რომელიც დაამყარა ველიკოროსიის გენერალმა, სამხრეთ რუსეთის ყაზახთა სამფლობელოში. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, ყაზახობა დენიკინის მიერ იყო დამორჩილებული და „მოხალისეთა“ ჯარის ხელმძღვანელნი სრული უფალნი იყვნენ მათი სიტყვისა და მოქმედებისა.

ყაზახობამ ვერ შესძლო ასეთ მორჩილებაში ყოფნა და ხმა ამოიღო. ეს ხმა სამხრეთ რუსეთში დღეს უკვე საკმაოდ ძლიერად ისმის და თვით დენიკინიც იძულებული შეიქნა თავი მოეხარა იმ ძალის წინაშე, რომელიც წარმოშვა დონ-ყუბან-თერგის გაერთიანებამ; სხვა გზით დენიკინს არც შეეძლო რომ მოქცეული ყო: მისი პოლიტიკა ცეცხლისა და მახვილისა, პოლიტიკა უხეში ძალის დიქტატურისა, [illegible] ბოლშევიკებთან ბრძოლაში, სადაც მან დამარცხება დამარცხებაზედ იხილა, არამედ სრულიად უნიადაგო აღმოჩნდა და ანტანტის წინაშე [illegible] და აქაც [illegible] დამარცხება ხვდა წილად მით, რომ ევროპამ ზურგი შეაქცია მას.

დამარცხებული დიქტატორი, დღეს მხოლოდ დონ-ყუბან-თერგის „წრის“ ჯარების სარდლობს, იმ „წრის“ რომლის წევრები თვითვე საჯაროთ ჩამოახრჩო, ხოლო უმთავრესი ხელმძღვანელნი მოღალატეებად გამოაცხადა.

სამხრეთ რუსეთის ხელმძღვანელ წრეების პოლიტიკურ სახის ასეთ შეცვლას, უნდა შეეცვალა აგრეთვე მათი პოლიტიკა, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა მიმართ.

გენ. დენიკინის მიერ წარმოებულ პოლიტიკას ამ სახელმწიფოთა „ეკონომიური დახშობისა“ და „პოლიტიკური განადგურების“ იქვე არ არის ვერ გაიზიარებს სამხრეთ რუსეთის არსებული მთავრობა: ამ პოლიტიკამ, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები ვერც „დაახშო“ და ვერც „გაანადგურა“.

ახლად შეკავშირებულ დონ-ყუბან-თერგის „უმაღლესი წრის“ წინაშე დაისვა საკითხი მათი პოლიტიკის გარდახედვისა მათის სამხრეთით მდებარე სახელმწიფოთა მიმართ და ამ მიზნით არის ჩამოსული ის დელეგაცია, რომელიც ამ ჟამად თბილისში იმყოფება და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა მდგომარეობას ეცნობა;

ჩვენ არასოდეს არ ვყოფილვართ აგრესსიულად განწყობილი იმ ხალხებისადმი, რომელთა დავალებით წარსდგა საქართველოს მთავრობის წინაშე ეს დელეგაცია და ამიტომ სიამოვნებით ვხვდებით მათს ნაწილს, კეთილ მეზობლური განწყობილება დამყარონ სამხრეთ რუსეთსა და ჩვენს რესპუბლიკას შორის:

ყველას, ვინც ჩვენთან ურთიერთობაში, ჩვენი დამოუკიდებლობის ნიადაგზედ დადგება, საქართველო სიამოვნებით გაუწვდის ხელს: ჩვენ ვიცით, რომ დონ-ყუბან-თერგის ხელმძღვანელ წრეების პოლიტიკური მიზანი რუსეთის ფედერატიული კავშირი შეადგენს—ეს მათი შინაური საქმეა და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სამხრეთ რუსეთის დელეგაცია უკვე გაეცნო საქართველოს პოლიტიკურ იდეალებს იმდენათ, რომ ეს საკითხი, ჩვენს ურთიერთობაში აღარ დაისვას.

მაგრამ ჩვენი ეკონომიური ინტერესები, ისევე როგორც დონ-ყუბან-თერგის ხალხისა, ითხოვენ კეთილ-მეზობლურ განწყობილების დამყარებას და ეკონომიური ურთიერთობის გაბმას ჩვენსა და მათს შორის, და ამ მხრივ სამხრეთ-რუსეთის დელეგაცია, საქართველოში დაბრკოლებას ვერ ნახავს.

ჩვენ სიამოვნებით ვხვდებით მათს პირველ ნაწილს—ამიერ-კავკასიის ბლოკადის მოხსნას და დარწმუნებულნი ვართ, რომ მომავალი ჩვენი ურთიერთობა, დიდ სარგებლობას მოუტანს როგორც ჩვენს ერს, მით უფრო სამხრეთ-რუსეთის ხალხს.

დამფუძნებელი კრება

(5 მარტის სხდომა)

სახაზინო და კახეთის რკინის გზებზე ტარიფის გადიდების შესახებ.

5 მილ. დეფიციტი აქვს რკინის გზას

მომხსენებელი [illegible]შვილი აღნიშნავს, რომ რკინის გზები იძლევიან 5 მილიონამდე დეფიციტს. ის აღნიშნავს აგრეთვე, რომ ჩვენი რკინის გზა არის უმთავრესად სატრანზიტო რკინის გზა, რომლითაც სარგებლობენ უცხო სახელმწიფოები, და [illegible] უფრო მეტად [illegible] ჩვენი სახელმწიფო. რკინის გზას შემოსავალ-გასავლის ასეთ მდგომარეობაში დატოვება,—ამბობს მომხსენებელი, დიდი შეცდომა იქნებოდა. სახელმწიფო არ შეუძლია დეფიციტი მიიღოს ისეთ შემოსავლიან დარგიდან როგორც არის რკინის გზა. ეს იქნებოდა ჩვენი იმავე ღარიბი ხაზინიდან ფულის გაცემა იმ სახელმწიფოებისათვის, რომელნიც ჩვენზედ მეტად სარგებლობენ ჩვენი რკინის გზით.

ეს კომისიის დადგენილებით წინადადებას აძლევს დამფუძნებელ კრებას, შე-

მამულიშვილნო, გაიღეთ სწრაფად და უხვად! მიწის ძვრით გაუბედურებულ მოძმეთ აღუდგინოთ დანგრეული კერა!

დღეს უკანასკნელად მხატვრული დრამა

მიხეილის
ა ლ კ რ ე
პლეხანოვის ქ. 91

კოშმარული შურისძიება ავაზაკის
5 ნაწილად, (შავი ხროვი)
კავკასიელ კონტრაბანდისტების ცხოვრებიდან—საუცხოო სიუჟეტი
მთავრობაში სახელმწიფო თეატრის პრემიერები მოზჟუხინ, ლისენკა და ტალონოვის მონაწილეობით.
თეატრი ითბობა. სიმფონიური ორკესტრი.

კინემო მინიონი
მარტის 7, 8, 9 და 10 ს

პირველი ქართული კინო-დრამა
„საქართველოს კოოპერატივთა კავშირის“ გამოცემა
ნინოშვილის ცნობილ რომანით
გერმანე გოგიტიძის გამოცემა
„ქრისტინე“
ალ. წუწუნავას მხატვრული დრამა 4 ნაწილად
✦ პროგრამის გარეშე ✦
საქართველოს დამფუძნებელ კრების გახსნის დღე
სახალხო გვარდიის დღე თბილისში
საქართველოს დამოუკიდებლობის დღე 26 მაისი
მთელი თბილისი ჩვენს ეკრანზეა
მთავარ როლებში: ა. აბელიშვილი—დრამ. თეატრის მსახ.—ქრისტინე.
ვასო აბაშიძე - ქართ. თეატ. მსახ.—მეღვინე.
დათია—მამა. ანკარა—დედა.

დღეს:

მოკავშირეთა უმაღლესი, რომელსაც თავისი სხდომები ჰქონდა, 12 თებერვლიდან საბოლოოდ დაიშალა, იგი თავის სხდომებს განაახლებს აპრილის დასაწყის სენ ჟერმენში, ამასთან ერთდროულად საერთაშორისო საფინანსო კომისია რომში შეიკრიბება.

ერთა ლიგის აღმასრულ. კომიტეტი შეიკრიბება 12 მარტს, რათა განიხილოს რუსეთის ანკეტის საკითხი, რომელიც მას აქვს მინდობილი.

ეგვიპტეში აღადგინეს წინასწარი ცენზურა სამხედრო კანონების პასუხისმგებლობით.

დნესტრზე ბოლშევიკებმა მარცხენა ნაპირი აიღეს.

დენიკინის არმიის 6000 კაცი პოდოლის-კამენეცში ჩავიდა.

პოლონელებმა დაიჭირეს დნესტრის ხაზი სტარო—კონსტანტინოვით.

მუშაობის გაძლიერების გამო გერმანიას იმედი აქვს საფრანგეთისადმი ნახშირის გადაცემის გადიდებისა.

რეინის გზებზე მუშაობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგა.

შეერთებულ შტატებში საფრანგეთის სესხზე ხელის მოწერით დღემდე შეგროვილა 27 მილიონი ფრანკი.

წერილები:

მეთაური—საქართველო და სამხრეთ რუსეთი.

— ოსმალეთისა და ბოლშევიკების მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ.

იურისტი—საგვარეულო უძრავ ქონებათა გამოყიდვის შესახებ.

— ვაჭრობა-მრეწველობა.

მდეგნაირად გაადიდოს რკინის გზის ტარიფი: სამგზავრო ბილეთებზედ ფასი 60-ჯერ ნორმალურ ფასებთან შედარებით, სამგზავრო სიჩქარისა და ბარგის გადასაზიდ 100-ჯერ.

ის ასახელებს ზოგიერთ საქონელს, როგორიცაა მინერალური წყლები გამოუხდელი ნავთი ქვანახშირი და სხ. რომლის გადასახად ფასის გადიდება იმდენჯერ რამოდენჯერაც სხვა საქონლისა გამოიწვევდა მათი ფასის გაორკეცებას. და წინადადებას აძლევს დამფუძნებელ კრებას გაადიდონ ასეთ საქონლების გადასაზიდი ფასი მხოლოდ 50 ჯერ შეშის კი 30 ჯერ.

რკინის გზას შეკეთება სჭირია

გზათა დეპარტამენტის დირექტორი ბ-ნი ქ. ჭინაძე იცავს წარმოდგენილ კანონ-პროექტს. ის დასძენს რომ ტარიფის მომატება მით უფრო მისაღებია, რომ რკინის გზები გაფუჭებული და დაზიანებულია და საჭიროა მათი შეკეთებას ამ განზრახული მომატებით რკინის გზის შემოსავალი იქნება დაახლოებით 9800 მილიონი.

თუ მხედველობაში მივიღებთ მიწისძვრისაგან რკინის გზის დაზარალებას უნდა ვიფიქროთ, რომ ეს შემოსავალი კიდევ ვერ დაფარავს ხარჯებს, დაახლოებით 20 მილიონი დეფიციტი მაინც დაგვრჩებაო.

ეს სოც-დემ. პოლიტიკის ბრალია

თ. ღლონტი (ს. ფ). ფრაქციის სახელით აცხადებს, რომ ისინი მხარს ვერ დაუჭერენ წარმოდგენილ კანონ-პროექტს, ვინაიდან ეს გამოიწვევდა ფასების ახალ მომატებას და ხელს შეუწყობდა სპეკულიაციას. კი მართალია დღეს რკინის გზის ბიუჯეტი არეულ მდგომარეობაში იმყოფება, მაგრამ ეს თქვენი, ს. დემ. პოლიტიკის წყალობითაა და ახლა გინდათ ეს თქვენი შეცდომა დემოკრატიის ხარჯზედ გამოასწოროთ. როცა ამას გაიგებენ მუშები, ისინი თქვენ ჩამოგშორდებიან.

ბ. ნიკო ნიკოლაძის სიტყვა

რა გზას უნდა დავადგეთ?

მოქალაქენო! გზათა უწყება ითხოვს მოუმატოთ რკინის გზის ტარიფი, ეს გასაგებია, ჩვენ მოვალენი ვართ დავუდასტუროთ ეს კანონპროექტი, ეს ერთად ერთი გამოსავალია ასეთ მდგომარეობიდან. ყურადსაღებია აგრეთვე ის, რომ როგორც მოგახსენათ გზათა დეპარტამენტის დირექტორმა, რკინის გზები დანგრეულია, მათ შეკეთება სჭირდებათ, ხიდები დაზიანებულია და თუ დროზედ ვერ შევაკეთეთ, სრულიად გაფუჭდებიან. ამ მოსაზრებით ჩვენი ფრაქცია მხარს უჭერს წარმოდგენილ კანონ-პროექტს (ს. დადიანი ადგილიდან—გადაჯექით ბარემ მენშევიკებთან!).

ჩვენ ბ-ნო დეპუტატო სხვანაირად გვესმის თანამშრომლობა თქვენ კი სხვანაირად (ხმაურობა სოც. ფედერალისტ.)

ბ-ნო დეპუტატებო! თუ თქვენ არ გიშლით თქვენი მტრული გამოსვლის დროს, ინებეთ და ჩვენც მოგვისმინეთ.

ბ-ნებო! თქვენ ხედავთ რამდენჯერ იზრდება რკინის გზის ხარჯები, მოგახსენათ ბ-ნმა ჭინაძემ, რომ ეს ახალი ტარიფიც ვერ დაფარავს ხარჯებს და 20 მილ. მან. კიდევ დეფიციტი გვექნებაო.

ესეც მოგახსენათ, რომ ჩვენი რკინის გზა სატრანზიტო რკინის გზაა, რომლითაც სარგებლობენ ჩვენი მეზობელი სახელმწიფოები, აზერბაიჯანი მეორე ნაირათაც სარგებლობს ჩვენი გზით, უკანასკნელი მისი ნავთით საზრდოებს, და ამით დიდ ნავთს უსაღებს მას. ჩვენ კი ჩვენი რკინის გზით ვზარალობთ, და ამ ზარალის დაფარვა მუდამ ტარიფის მომატებით არ შეიძლება. ჩვენ უნდა სხვა გზა ვეძიოთ. მე ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა ეს გზაც უჩვენო დამფუძნებელ კრებას. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რომ როგორმე თავი დავაღწიოთ ბაქოდან დამოკიდებულებას, ამისთვის კი ორგვარი საშუალებაა.

ელექტროფიკაცია

ჩვენ მდიდარი ვართ თეთრი ნახშირით. ჩვენ 4—5 მილიონი ცხენის ძალა გვაქვს, ამის მესამედიც რომ გამოვიყენოთ ესეც საკმარისი იქნება ჩვენი რკინისგზისათვის. ჩვენი რკინის გზა რომ ელექტრონით მოძრაობდეს მაშინ ბაქოზედ არ ვიქნებით დამოკიდებული და ბაქოს ნავთის გადასაზიდსაც ნაღდ ფულად ავიღებდით.

მილი გროზნიდან

ამის გარდა საჭიროა რომ გამოყვანილ იქმნეს ნავთის მილი გროზნიდან, ეს კონკურენციას გაუწევდა ბაქოს და ჩვენთვის ხელსაყრელ პირობებს შექმნიდა ჩვენ მაშინ ბაქოელების სათამაშოდ აღარ ვიქნებოდით (დადიანი ადგილიდან — ამერიკიდან აჯობს გამოვიყვანოთ).

ბ-ნო დადიანო თუ თქვენ ამის მნიშვნელობა არ გესმით, რასაც მე მოგახსენებთ და კიდევ ხმას იღებთ ეს ცუდია. (ხმები მარჯვნიდან—ეპატიება ახალგაზრდაა)

ამაზედ უმუშავნია სპეციალისტებს და იციან როგორ გამოიყვანონ—ეს რომ ძნელი მოსაწყობი იყოს აქ არ მოგახსენებდით მაგრამ მე ჩემის თვალით მინახავს შვეიცარიაში და გერმანიაში ამისათვის საჭირო სრულიად გამზადილი მანქანები. საჭიროა მხოლოდ მათი შეძენა.

მაშასადამე ჩვენ უნდა დასტურ დავსცეთ წარმოდგენილ კანონ-პროექტს, და უნდა დავავალოთ ჩვენ მთავრობას რომ ერთი დღეც არ დაჰკარგოს და იზრუნოს ამ ტეხნიკურ გაუმჯობესებათა საშუალებით მოიხერხოს გააიაფოს რკინის გზაზედ მიმოსვლა და ბარგის გადაზიდვა.

ელექტროფიკაციისკენ ნაბიჯები გადადგმულია.

ბ-ნი ჭინაძე აღნიშნავს რომ თ. ღლონტმა ვერ დაარღვია მთავარი დებულება დეკრეტისა, მან არ უნდა გაიგოს რომ ჩვენი რკინის გზა სახაზინოა და მისი დეფიციტი იმავე ხალხს აწვება კისერზე, რომელზედაც ბ-ნი ღლონტი ვითომდა დიდად ზრუნავს.

იგი დამფუძნებელ კრების ყურადღებას მიაქცევს ნ. ნიკოლაძის მიერ გამოთქმულ აზრს ტეხნიკურ გაუმჯობესების შესახებ და დასძენს რომ ელექტროფიკაციისაკენ უკვე გადადგმულია ნაბიჯები.

მე რეაბილიტაცია უნდა მოვახდინო.

ს. დადიანი. ბ-ნი ნ კოლაძე რომელიც ეგზომ ცნობილია ეკონომიურ საკითხებში დღეს ვერ აღმოჩნდა სათანადოდ მომზადებული, მან მისაყვედურა კიდეც რომ ამის უცოდინარობა არ გეპატიებათო. (ი. მაჭავარიანი ადგილიდან:—იმიტომ გროზნო რომ ბაქოზე შორს გეგონათ!) მე აქ რეაბილიტაცია უნდა მოვახდინო, ჩვენ გვესმის ნ. ნიკოლაძის მიერ დასახულ გეგმა მაგრამ ისიც გვესმის რომ ამას ჩვენი სოციალ-დემ-ბი ვერ განახორციელებენ ნ. ნიკოლაძე სოციალისტი იყო ის შეუფერებელი ლოზუნგით დარწმუნებული აღნიშნავს რომ ნ. ნიკოლაძე ახალგაზრდობაში სოციალისტი იყო.

შემდეგ კამათში მონაწილეობას ღებულობენ ნ. ელიავა და თ. ღლონტი.

ბოლოს მომხსენებელი უპასუხებს მოწინააღმდეგეთ, ამხილებს მათ უცოდინარობაში.

დამფუძნებელი კრება გადადის კანონპროექტის მუხლობრივ განხილვაზე, კანონ-პროექტი მიღებულ იქმნა ზოგიერთ შესწორებებით.

ოსმალეთისა და ბოლშევიკების მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ.

(საქართ. დეპ. სააგენტო).

ოფიციალურად.—ბოლშევიკებსა და ოსმალეთის აგენტების გაერთიანებული კომიტეტის დადგენილებიდან ამონაწერი, რომელიც მიმართულია კავკასიის საოლქო კომიტეტის კომუნისტურ პარტიისადმი დაჭერილია საზღვარზე. (დედანი მთავრობის სათანადო პირთა ხელშია).

ბოლშევიკების სხდომაზე დასმული იყო განსახილველად საკითხი გამოსვლის შესახებ იმ შემთხვევაში თუ ქართველები შემოვიდოდნენ. დაესწრნენ: კომიტეტის სამი წევრი, ოსმალეთის ჯარის პოლკოვნიკი სულეიმან ეფენდი, ართვინელი აფხაზი, ერთი რუსი მოსაზღვრე ოფიცერი. ერთი ინჟინერი... რაზსკი... ვისტოვი და სხვები.. დაიცადეთ თბილისში გაგზავნილ კომიტეტის წევრისათვის (რომელიც გამოსვლის მომხრეა) რომელსაც მოხსენება უნდა გაეკეთებინა. დასახული იყო ორი ვარიანტი: 1) მუშათა ორგანიზაციების მიერ მუსულმანთა კომიტეტის დახმარება. მთელი... ყოფაქცევა... ალექსი სამოსტოატელნიკი გამოსვლა არ იქნება. მოწინავეებაში ინგლისის მოქმედება დაგმობილი და აჭარლების ეროვნული მისწრაფებაა წაქეზებული იქნება. 2) დამოუკიდებელი გამოსვლა. ამ შემთხვევაში ბათუმის ოლქი იქნება 6 რაიონად. თითეული რაიონის სათავეში სდგას პასუხისმგებელი ხელმძღვანელი. მოსაზღვრე ადგილები იქნება—ქედელი—სულეიმან ეფენდი ართვინელი აჭარელი. ქალაქში — ამხ ნაგი ალექსი, აგარკებში მე, ქობულეთში მოსაზღვრე ოფიცერი. გამოსვლა იქნება 2 დღის შემდეგ ქართველთა გამოსვლისა. (დაახლოვებით სისწორით სახჩვენები იქნება მოწოდებაში). რაიონთა ხელმძღვანელები მიიღებენ რა მოწოდებას დაუყოვნებლივ გაავრცელებენ მას აჭარელთა შორის და საქმის წაყვანას ითავებენ. მოსაზღვრე რაიონს კავშირი ექნება ქედით და დანიშნულ დღეს ოსმალთა ჯარები ათასი ასკერის 300 ცხენოსანის ორი სამთო ბატარეის და ერთი მორტირის შემადგენლობით გადმოვლენ საზღვარს და ბათუმისაკენ შემოუტევენ. ამას გარდა მოსაზღვრე რაიონის ხელმძღვანელი მოაწოდებს ქედის რაიონს იარაღსა და პატრონებს. გამოითქვა სურვილი ქემალ ფაშასთან კავშირის დაჭერის შესახებ. ქედის რაიონი აწყობს ჯარებს ოსმალო ოფიცრების წინამძღოლობით და უტევს ბათომს ოსმალთა ჯარებზე მეთაურობით. პირდაპირი კავშირი აქვთ კომიტეტთან. იარაღს ღებულობენ მოსაზღვრე რაიონებიდან ბათუმის საქალაქო რაიონი ემორჩილება ამხ. ალექსის. იგი კომიტეტთან პირდაპირი კავშირით იმოქმედებს. სააგარაკო რაიონი მიიღებს მასალას ბათომიდან, რისთვისაც გაგზავნილი იქნება დანიშნულ ადგილას ორი რწმუნებული. ეწყობა საქართველოსთან დამოკიდებულების შესაწყვეტათ. მასალის მიწოდება მოხდება. ავტომობილებით. გაგზავნილი იქნება ორი ტყვიის-მფრქვეველი. ეხლა ისინი ქედაში ინახება. რამდენიმე ადგილას მოწყობილი იქნება შარა გზებზე სროლა. ტყვიისმფრქვეველები, იქნება სიბირიაკოვისა და პასეკის აგარაკებზე. კავშირი იქნება კომიტეტთან. ქობულეთის რაიონი აწყობს პარტიზანთა რაზმებს მოსაზღვრეთა წინამძღოლობით. იარაღს ღებულობენ სააგარაკო რაიონიდან. კავშირი იმ გვარივეა. ქობულეთის პარტიზანები აფეთქებენ გვირაბს აფუჭებენ გზებს და აფერხებენ მიმოსვლას. აი დაახლოვებით კომიტეტის გეგმები. თვით კომიტეტში ეტყობა დიდი უთანხმოებაა. ამ დღეებში, ალბათ, სამშაბათს, იქნება ახალი სხდომა საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად.

არაფერი ახალი არ არის. გუშინ თვითონ ი. მიმართა მატიუსს, უნდა მიიღოს თუ არა მან ზომები ქართველ მუსულმანთა კომიტეტის აგენტების წინააღმდეგ, რომელნიც აგიტაციას ეწევიან. მატიუსმა ამაზე ხელი ჩაიქნია და მეტი არაფერი არა სთქვა. გუშინ ბოლოს და ბოლოს მე შევძელი წამეკითხა მოხალისეთა ჯარის ის მოწერილობა, რომლის შესახებაც მე თქვენ გატყობინებდით. მისი შინაარსი ასეთია: სამხრეთ რუსეთში მომქმედ შეიარაღებულ ძალთა სარდლის მთავარი შტაბის სამხედრო განყოფ. ცნობით მთელი ყოფილი რუსეთის ტერიტორიიდან წასვლა გადაწყვეტილია და ქართველთა გადაწყვეტილია ბათომიდან მათი წასვლა. ბათომი უნდა გადაეცეს ქალაქის თვითმართველობას (და არა საქართველოს როგორც მე წინად გატყობინებდით) საქართველოს მთავრობის ქვეშ, ამიტომ მისიის წინადადებას აძლევენ მოლაპარაკება გამართოს ადგილობრივ ეროვნულ საბჭოსთან იმ მიზნით, რომ ქართველებს ხელი შეუშალონ ბათომზე თავის გავლენის დამყარებაში) ეს წინადადება სიტყვა სიტყვით არის დედანში და მიიღონ ყოველგვარი ზომა, რათა ხელი შეუშალონ საქართველოს ბათუმის დაკავებაში. სხვათა შორის ქალაქში დაჟინებით დადის ხმები, რომ საქართველო ბათომზე უარს აცხადებს. ბოლშევიკებმა გამოაანგარიშეს ძალთა განწყობილება რომელიც ცნობის მიმწოდებელმა კომიტეტმა იაჩეიკებიდან შეიტყო. ოლქში კომუნისტი 28 კაცი. თანაგრძნობი—2000—3000 აქედან საიმედო 400 კაცამდეა. ბათუმში—კომუნისტები 352, თანაგრძნობი მუშები—1400—1600, ინტელიგენცია—200—300. საიმედო: მუშები—1000, ინტელიგენცია 50—100 გადატრიალების მოწყობისათვის მათის ანგარიშით საჭირო არის 750 კომუნისტი, თანამგრძნობი 8000 საიმედო—3000. კომიტეტის წევრი თბილისიდან ჯერ არ დაბრუნებულა. სხვათა შორის ჩემს მიერ თქვენდამი გამოგზავნილ მუსულმანთა საბჭოსადმი განცხადების პირის, იმათ გაუგზავნეს მეორე განცხადება იმ მოთხოვნილობით, რომ უარყონ ხმები ბათუმის საქართველოსადმი გადაცემის შესახებ. ორივე მიმართვა სასწრაფოთ გადათარგმნილ იქნა კუკ—კოლისისთვის. ინგლისელების ამისადმი დამოკიდებულება ჯერ კიდევ გამოურკვეველია. გუშინ სხვათა შორის მე გავიგონე 96—75 ინგლისის ბრიგადების ბათუმში მოსვლის შესახებ. ნაწილი თითქოს უკვე მოსულია და გადმოყავთ. რამდენათ მართალია არ ვიცი ორშაბათს შემოვიდლი.

უცხოეთი

რუსეთი

ბოლშ. სამხედრო ცნობა. მარტი ვოლინის ნოვგოროდის ჩრდილო-აღმოსავლეთი 10 ვერსზე ჩვენ სოფლები ავიღეთ. ბერდიჩევის და ლეტიჩევის რაიონში ბრძოლა ადგილობრივი ხასიათისაა. დნესტრზე ჩვენმა ჯარმა მარცხენა ნაპირი აიღო (იაპოლისა და რიბნიცს შუა) როსტოვის რაიონში ჩვენი კუშჩევსკაიასთან მდ. გადმოვიდა კუშჩევსკაიას აღების დროს წამოვიყვანეთ 800 ტყვე.

გაზ. „პრავდა“ რუსეთის მდგომარეობის შესახებ.

(საქ. დეპ. საგ.)

„პრავდა“ მოწინავე წერილში სწერს: „თებერვალი და მარტი ძნელი თვეებია რესპუბლიკისათვის და მუშებისათვის. პირველად ყოვლისა საშინელი ბრძოლა გვიხდება თოვლთან. ხშირათ ფუჭდება სამარხილე გზებიც. დიდი ქალაქების მუშათა წინაშე სდგება საქმე. გზების შესწორება და სურსათის შემოზიდვა ერთი საათიც არ უნდა მოშორდეს საქმეს, ისინი უნდა დაეხმარონ და წააქეზონ ერთი მეორე სამუშაოთ. პური მრავლათ არის მოგროვილი. საერთაშორისო და სამხედრო მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. მალე ნათელი იქნება ჩვენი შრომის შედეგები, ზოგიერთი ნიშნები გვიჩვენებს რომ ჩვენ უბედურებას გადავლახავთ. ამ მომენტში მუშათა ენერგია უნდა იქნეს მიმართული დღიურთა წასაქეზებლად, „შკურნიკების“ წინააღმდეგ საბრძოლველად. რუსეთის პროლეტარიატი სდგას ახალი ამოცანის წინაშე გაადიდოს, გააძლიეროს ის, რაც მას დარჩა, დაანაყროს, ჩააცვას, გაუნათლოს და გაათბოს თავისი თავი და მთელი მშრომელი ხალხი. მხოლოდ ეხლა შეიძლება ამის გადაწყვეტა.

მშრომელ ყაზახთა ყრილობის მუშაობა დიდის სიცხოველით მიმდინარეობს. ყრილობაზე ციმბირის ყაზახთა დაგვიანებულ დელეგაცია მოვიდა. ციმბირის დელეგატმა ზოლუბაევმა დახატა ციმბირის კონტრ-რევოლიუციის სურათი. ციმბირში მოსავალი საუცხოოა. ციმბირის ყაზახობა მზათ არის მთელის ენერგიით დაეხმაროს ცენტრალურ რუსეთის მუშებსა და გლეხებს.

საგვარეულო უძრავ ქონებათა გამოყიდვის საკითხი

დამფუძნებელ კრებაში შეტანილია საგვარეულო უძრავ ქონებათა გამოყიდვის უფლების გაუქმების კანონპროექტი. პროექტით კანონს უკუქცევითი ძალა უნდა მიეცეს იმ სახით, რომ გამოყიდვის შესახებ ყველა საქმეები 1918 წლის მაისის 26-დან დაწყებული უნდა გაუქმდეს.

კანონპროექტი ერთხელ წაკითხულ იქნა კიდეც დამფუძნებელ კრებაში და სხვა და სხვა პარტიის ორატორებმა გამოსთქვეს თავიანთი აზრი მის შესახებ.

ადვილი მოსალოდნელი იყო, რომ საგვარეულო მამულების გამოყიდვის შესახებ არსებულ კანონს არავინ არ დაუჭერდა მხარს, იმდენად ცხადია ამ კანონის შეუსაბამობა დღევანდელ ცხოვრების პირობებთან, მისი ანაქრონიული ხასიათი და გადაგვარება.

მაგრამ არ შეიძლება გაკვრით არ ითქვას, რომ ამ კანონის გაუქმების დასაბუთება, როგორც კანონპროექტის მომხსენებელის, ისე ცალკე ორატორების მიერ შემცდარ ნიადაგზეა აგებული.

იყო მაგალითად წარმოთქმული ის აზრი, რომ ის წოდება, რომლისთვისაც არსებობდა გამოსყიდვის უფლება, მოისპო და ამიტომ უნდა მოისპოს ეს უფლებაცაო. ეს აზრი სრულებით შემცდარია, რადგან საგვარეულო უძრავ ქონებათა გამოსყიდვის უფლება სრულებითაც არ წარმოადგენდა წოდებრივ პრივილეგიას. მართალია მე-XVIII საუკუნეში ამ კანონის დანიშნულება იყო თავად-აზნაურობის მიწის მფლობელობის დაცვა, მაგრამ წარსულ საუკუნის დასაწყისშივე მან დაჰკარგა ეს წოდებრივ პრივილეგიის ხასიათი და გადაიქცა საყოველწოდებრივო ინსტიტუტად. პირიქით, სამოქალაქო კანონთა კრებულში არის ერთი მუხლი, რომელიც აკრძალავს საგვარეულო სოფლის მამულის გამოსყიდვას იმ შემთხვევაში, როდესაც იგი გაყიდულია ერთ წოდების პირისაგან მეორისაზე.

თუ გავიხსენებთ, რომ გლეხობა არა თუ ჰყიდდა თავის მიწას, არამედ ხარბად ეწაფება ახალის შეძენას და რომ ერთად-ერთი წოდება, რომელიც ადვილად ანიავებდა მამაპაპათაგან დატოვებულ მემკვიდრეობას, იყო თავად-აზნაურთა წოდება, ეს კანონი მის სასარგებლოდ კი არა, თითქო მის საწინააღმდეგოდ შექმნილს ჰგავს.

მეორე შემცდარი საბუთი, რომელიც წარმოითქვა დამფუძნებელ კრებაში იყო ის, რომ დაბრუნება იმდენივე მანეთისა, რამდენშიაც გაყიდული იყო მამული, გაგლეჯაა. რა თქმა უნდა გამომყიდველი მოგებაში რჩება, მაგრამ ამ კანონის გაუქმებასთან რომ იმდენადვე მოგებული რჩება გუშინდელი მყიდველიც. ამ ლოღიკას რომ მივსდიოთ, რაღა ითქმის მაშინ ბანკებში დაგირავებულ მამულების შესახებ. ყველა, ვინც დღევანდელის ფულით გამოისყიდის ოქროში დაგირავებულ მამულს, სპეკულიანტი ყოფილა. ან კიდევ ვინც ამ სამის ოთხის წლის წინად ოქროთი აღებულ ვალს დღევანდელის მანეთებით გადიხდის?

ეს მოვლენა გარდამავალია, და მის მეტი სხვა რომ არ იყოს ხსენებულ კანონის გაუქმების მიზეზი და საბუთი, იგი ძალაში დასატოვებელი იქნებოდა.

არა, მის გაუქმებას მოითხოვს ყვე-

უმაღლესი საბჭოში

(საქ. დეპ. სააგ.)

მოკავშირეთა უმაღლესი საბჭო რომელსაც თავისი სხდომები ქონდა 12 თებერვლიდან, საბოლოოდ დაიშალა ოთხშაბათს საღამოს. ნიტიმ გადასწყვიტა ხუთშაბათს რომს გაემგზავროს მათ მაგიერ გარეშე საქმეთა მინისტრების კონფერენცია განაგრძობს ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულების პირობების განხილვას.

უმაღლესი საბჭო, რომელმაც ლონდონის სესია დაამთავრა, თავის სხდომებს გააახლებს აპრილის დასაწყისს სან-რემოში ამასთან ერთდროულად საერთაშორისო საფინანსო კომისია შეიკრიბება რომში.

კიდევ რუმინეთთან საზავო მოლაპარაკების შესახებ

პრესის მიმოხილვა რუმინეთის ზავზე მოლაპარაკების დაწყების თანხმობის გამო, რადეკი „იზვესტიაში" სწერს: „რუმინეთთან ზავი წარმოადგენს კიდევ ერთ გაწყვეტილ რგოლს, რომელიც მოკავშირეებმა რუსეთს შემოარტყეს. იგონებს რა იმ შემთხვევას, როდესაც მოკავშირეებს სურდათ რუმინეთი რუსეთის დასახრჩობად გამოეყენებინათ, იგი განაგრძობს: რუმინეთი პოლონეთის პოლიტიკურ ანგარიშში დიდ როლს თამაშობს. პოლონეთი შეწუხებულია რუმინეთთან მისაზღვრეობის გამო. მას სურს უზრუნველყოს შავი ზღვის გზით მოკავშირეებთან თავისი კავშირი, რუმინეთს ეს მნიშვნელობა აქვს კიდევ, რომ ის მდიდარია პურითა და ნავთით, და აი ამ ორი საგნისათვის ეხლა მთელი მსოფლიო იბრძვის.

უკუქცეული დენიკინელები

ამერიკის მფრინავთა ცნობის თანახმად, დენიკინის არმიის 6000 ჯარი, ბრძოლით დახევის შემდეგ რამდენიმე დღეში პოდოლსკ-კამენეცში მივიდა. რუსებმა, რომელთაც ხელმძღვანელობდა დენიკინის ერთ ერთი გენერალი, ყირიმი დასტოვეს ეგრედ წოდებული მოხალისეთა ჯარის გზა ზღვით დაკეტილია. ისინი გავიდნენ ხერსონიდან ჩრდილოეთით ბოლშევიკურ ოლქებში და ყოველ ვერსზე ბრძოლით მივიდნენ კამენეცში, მათ 400 მილზე მეტი გზა გაიარეს. რუსებმა სურვილი გამოსთქვეს, ამ ოლქში მომქმედ პოლონეთის ჯართან შეერთებას. პოლონელებს ისინი ყავთ კამენეცის ჯართან შეერთებაზე ახლო მდებარე ბანაკში სამხედრო სამინისტროდან ინსტრუქციის მიღების მოლოდინში. ამერიკის ავიატორებმა პროსკუროვის მიმართულებით პოლონელთა შეტევაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს, დაამარცხეს თავმოყრილი ბოლშევიკები, განსაკუთრებით პოდოლიაში. მათი საქმე იყო, ბოლშევიკების ბანაკებში ყუმბარების სროლა. ფიქრობენ, რომ ამერიკის ესკადრონმა გაფანტა ზოგიერთი ნაწილები. ბოლშევიკებმა დაიწყეს ზარბაზნებით თავის დაცვა და ჰაეროპლანებს დაუშინეს. ამ ფრონტზე ჩნდებოდა მხოლოდ ერთი მფრინავი მანქანა უკანასკნელ 4 საათის განმავლობაში პოლონელებმა 30 კილომეტრი გაიარეს და დაიკავეს დნესტრის სტარო კონსტანტინოვით.

საფრანგეთი

საფრანგეთის საზღვაო ძალთა განაწილება ხმელთა შუა ზღვაში.

საზღვაო მინისტრმა შემდეგნაირათ შესცვალა ხმელეთის შუა ზღვაში საფრანგეთის საზღვაო ძალთა განაწილება: საზღვაო ჯარს, რომლის გაუქმებაც გადაწყვეტილია შესცვლის ორი ესკადრა, ვიცე ადმირალთა წინამძღოლობით. მოვლინეობის დროს ესკადრები ერთი მეორისაგან დამოკიდებულნი იქნებიან. პირველი იმოქმედებს ხმელეთ-შუა ზღვის აღმოსავლეთსა და მეორე დასავლეთ ნაწილში ტულონში იქნება 6 ნაღმოსანისაგან შემდგარი ესკადრილია, რომელიც საზღვაო პრეფექტის განკარგულებაში იქნება.

ოსმალეთი

მარშალი ფოშის ოსმალეთში მისაღებ სამხედრო ზომების შესახებ

უმაღლესი საბჭოს სხდომამ ოთხშაბათს მოისმინა მარშალ ფოშის მოხსენებას იმ სამხედრო ზომათა შესახებ, რომლის მიღებასაც ოსმალეთში აპირებენ. „პტი ჟურნალის" ლონდონელ კორესპონდენტის სიტყვით, ამ ზომებათ უნდა იქნეს: მოკავშირეთა მიერ იმ ტერიტორიების დაჭერა, რომელიც შემოსაზღვრულია ბოსფორით, მარმარილოს ზღვათა და დარდანელით, ხელახლავე აკრძალვა ოსმალეთისთვის იმდენი ჯარის ყოლისა, რომელიც მას ლაშქრობის შეძლებას მისცემს. საბჭო ფოშის ყველა დასკვნას არ დასთანხმებია და თავისი გადაწყვეტილების გამოტანა გადასდვა იმ დრომდე, სანამ იგი არ მიიღებს პასუხს ზოგიერთ ტეხნიკურ კითხვაზე. უმაღლესი საბჭო, შეუდგა იკონომიურ ნოტის საბოლოო რედაქციის შემუშავებას. ამ ნოტაში აღნიშნულია, რომ განადგურებულ ოლქთა აღდგენა წარმოადგენს არა მარტო ეროვნულ ინტერესის საკითხს, მას აქვს საერთაშორისო ხასიათი და მეტად საჭიროა, რომ ყველა მოკავშირე ამ საქმეს დაეხმაროს. შემდეგ ნათქვამია: კონტინენტზე ეკონომიური წონასწორობა იმ შემთხვევაში აღსდგება, თუ საფრანგეთსა და გერმანიის მრეწველობა გაცხოველდება იმ გვარივე ინტერესები, როგორც ეს ომამდის იყო. ნოტის ის ადგილი სადაც გერმანიაზე არის ლაპარაკი გამოცვლილია, რადგანაც უკამათლოდ მიჩნიეს განადგურებაში პასუხის მგებელი გახადონ გერმანია; რომელიც თანაბრად დაზარალდა თავისი მსხვერპლით. მოკავშირეთა ნოტის მე 2 ნაწილი ეხება კომერციულ გაცვლა-გამოცვლისა და მას შეაქვს ზოგი წინადადება, რათა ფული უფრო განამტკიცონ სესხის აღებით

საქართველოს ბლოკადის მოხსნა

(პირდაპირ მავთულით ეკატერინოდარიდან)

უმაღლეს „კრუგის" დელეგაცია ეკატერინოდარიდან პირდაპირი მავთულით იუწყება, რომ საქართველოს ბლოკადის მოხსნა სამხრეთ-რუსეთში ოფიციალურად არის გამოქვეყნებული. ნოვოროსიისკში ორი ორთქლ მავალი უკვე დატვირთა რომელსაც მოაქვს პური საქართველოს მოსახლეობისთვის

გენ. ბარათოვი

უმაღლეს „კრუგის" დელეგაცია ეკატერინოდარიდან იტყობინება, რომ იქ ჩასულა სამხრეთ-რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გენ. ბარათოვი და მინისტრის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა გენ. ბარათოვის პირველ აქტად — იყო საქართველოს ბლოკადის მოხსნის საკითხის ძირითადი გადაწყვეტა.

ოსეთის შეთანხმება თერგის ყაზახობასთან

(კავკავიდან პირდაპირ მავთულით)

კავკავში ამ ჟამად მუშაობს ოსეთის ერის „მცირე ყრილობა", რომელიც თავის წრიდან გამოჰყო ოსეთის მე-11-ე ყრილობამ.

ამ ყრილობაზე მიღებულ იქმნა დაწვრილებითი რეზოლიუცია საადგილმამულო საკითხის შესახებ, რომლის თანახმად ყველა მიწები, ტყეები და სხვა ბუნებრივი სიმდიდრენი, რომელნიც კი ოსეთის საზღვრებში იმყოფება, ოსეთის ხალხის საკუთრებად ცხადდება. ამას გარდა რეზოლიუციაში ნაჩვენებია ის კონკრეტული ზომები, რომელთა საშუალებით უნდა მიწის საკითხი გადაწყდეს.

უმაღლეს „კრუგის" დელეგაციას ატყობინებენ, რომ თერგის ყაზახობასა და ოსებ შორის სრული შეთანხმება მოხდა.

პარტიული ცხოვრება

ეროვნ. დემოკრ. სტუდენტთა საყურადღებოთ.

დღეს დილის 9 ნახ. საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტში დანიშნულია სტუდენტთა საერთო კრება, რომელიც აირჩევს ახალ გამგეობას. პარტიულ ამხანაგებს ახსოვდეთ რომ მათი დასწრება სავალდებულოა.

პარტიული კრება თელავში.

დღეს საღამოს ქ. თელავში გაიმართება ეროვნ. დემოკრ. პარტიის საზოგადო კრება, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს დამფუძნებელ კრების და პარტიის მთავარ კომიტეტის წევრი ბ-ნი ი. მაჭავარიანი.

ახალი ამბები

სამინისტროებში

წყალთა კონცესიის შესახებ

ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროში ინჟ. ესენმა შეიტანა რესპუბლიკის წყალთა კონცესიის გადაცემის ხელშეკრულებათა ნორმალური პროექტი. ხსენებულ პროექტს საბჭო ხუთშაბათის სხდომაზე განიხილავს.

საქსოვ ხელსაწყოთა დამზადება

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის ტეხნიკური კომისიის საზოგადო კრებამ მიანდო ინჟ. ბრალოვსკის გაიგოს შინაგან მრეწველობის განყოფილების და ერობათა კავშირის ბიუროსაგან, თუ რა ზომებია მიღებული საქსოვ-დაზგების ხელსაწყოთ დამზადებისათვის.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოქმედებას იწყებს თბილისში ორშაბათ — მარტის 8-ს, ქუთაისში 15-ს.

ფოსტა-ტელეგრაფი

ტელეგრაფის კავშირის აღდგენა

აღდგენილია კავშირი ტელეგრაფის ყუბანის, თერგის და დაღესტნის ოლქებთან, სტავროპოლის შავი ზღვის გუბერნიებთან და ყირიმთა შინაგანი ნიხრის ფასდადებით.

— სოფელ კინჩხაში სენაკის მაზრ. გახსნა ფოსტის განყოფილება ფოსტის გამოცვლა ვამოცვლას აწარმოებს ნოღლევთან რომელთაც შორის 22 ვერსით.

დაიხურა 1900 წ. 24 იანვრის კანონის თანახმად წარმოებული საფოსტო ოპერაციები ჯორდის სოფლის სამმართველოში.

კრებები

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.

დღეს, მარტის 7-ს, საღამოს 6 საათზე, კავკასიის საარქეოლოგიო ინსტიტუტის ბინაზე (ოლღას ქ. № 40), მოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა საზოგადო ჩვეულებრივი კრება. კრების საგანია: 1) მღვდლის პ. კარბელაშვილის მოხსენება — „ერეკლე ს დროის ქართლის ტახტის მაძიებელნი". და 2) ახალი წევრების არჩევა კრებას გარეშეთაც შეუძლიათ დაესწრონ.

სამხატვრო ქრონიკა

მიშელ დ'არიალი.

ჩვენი თანამემამულე მომღერალი მიშელ დ'არიალი მიხეილ ნანობაშვილი გუშინ ჩვენს რედაქციას ესტუმრა და თვისი საზღვარ გარეთ შთაბეჭდილებანი გაუზიარა.

სასამართლოში

დუშეთის ამბოხების საქმე

გუშინ თბილისის დროებით საგანგებო სასამართლ. დანიშნულ იყო დუშეთის მამამოხე ხელმძღვანელთა გასამართლება. სამართალში მიცემულია სულ 18 კაცი, რომელთა შორის არიან ა. იგეჭკორი და ს. ქავთარაძე. სასამართლოს შემადგენლობაში შედიან: თავჯდომარედ ა. ა. კარასეკი. წევრებად: ს. ჩიქუა, გ. თუთბერიძე და გ. ღიდია. ბრალსა სდებს პროკურორის ამხანაგი [illegible]. შინაგან საქმეთა სამინისტროს და ამბოხების დროს მოკლულ იკაძის დედის მხრივ სამოქალაქო მოსარჩელეებათ არიან ვექილები: კ. ნინიძე და ონიაშვილი. ბრალდებულთ იცავენ ს. ბარათაშვილი, სამს. დადიანი, სარქისოვი, სეკეტორი, ასკი, პ. გედევანიშვილი, ი. დოლუხანოვი, პ. ქავთარაძე, მაჭავარიანი, მ. მდივანი და ზაღსაროვი.

მოწმეთა საგრძნობი ნაწილის გამოუცხადებლობის გამო საქმის გარჩევა გადაიდო 20 აპრილისათვის.

გორის მაზრაში

გარეშე საქმეთა მინისტრმა პიატიგორსკიდან მიიღო შემდეგი დეპეშა თერგის სამხედრო ატამანისაგან: „თერგის მხედრობა უცხადებს მთელ ქართველ ერს თავის გულწრფელ სამძიმარს იმ უბედურების გამო, რომელიც თავს დაატყდა გორს. მრავალ დარჩენ უბინაოდ და მშიერ მწყურვალნი. თერგის ჯარის მთავრობა ცდილობს რა აღმოუჩინოს დახმარება დაზარალებულთ 3 მილ მან. გადასდო სურსათის საყიდლად მათთვის. სურსათის თბილისში ჩამოსატანათ სასწრაფოდ გამოუშვებულია ზომები კავკავში საქართველოს კონსულ მაჩაბელთან ერთად.

გორელების დასახმარებლად

ამ დღეებში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა მთავარმა კომიტეტმა ლევანდოვსკის გიმნაზიიდან 30 მოწაფე გაგზავნა გორში თბილი ტანისამოსის დასარიგებლად.

— სომხ-ექიმთა კავშირმა გადადვა 10.000 მან. გორში დაზარალებულთა და დავადმყოფებულთა საექიმოდ სომხ-ექიმთა სამკურნალოს დასაწყებად.

— მთავრობის საგანგებო კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა საგარეო საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა უკანასკნელმა შუამდგომლობა აზერბაიჯანის მთავრობის წინაშე რათა უკანასკნელმა ნება დართოს კომიტეტს, რომ აზერბაიჯანის კოლონიაში გორის დაზარალებულთა სასარგებლოდ შეგროვილი შემოწირულება — სანოვაგე გადმოზიდოს ნიშნეულისამებრ.

მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დახმარების მიმდინარეობა თემებში.

ერობაში მიღებულ ცნობებით ზოგიერთ თემებში უკვე შემდგარან მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე სარაიონო კომიტეტები, ზოგან კიდევ შეუდგნიან შემოწირულებათა მოგროვებასაც.

სართიჭალის თემში.

სართიჭალის თემის წარმომადგენლებმა, ე.ი. ნანეიშვილმა და მ. ჯელაურმა წარმოადგინეს მაზრის ერობაში ფულად შემდეგი შემოწირულებანი: 1) მოგროვილი სართიჭალის რ. მილიციის უფროს ზახარიევის მიერ ს. მუღანლოში 2610 მან. და მისგანვე ცალკე 920 მან.; 2) პატარძეულის საზოგადოებისაგან 5159 მან.; 3) პატარძეულის ს. დ. კოლექტორისაგან 1000 მან.; 4) პატარძეულის საეკლესიო სკოლის მოწაფეთაგან 200 მან. და გამბორის საზოგადოებისაგან 1675 მან.

საგარეჯოს თემში

საგარეჯოს რ. მილიციის უფროს ძიძიგურმა წარმოუდგინა მაზრის მილიციის სამართველოს შეგროვილი მილიციონერებშორის 2450 მან.

თბილისის მაზრის ერობის მოსამსახურეთა კავშირში.

ამა წლ. 28 თებერვალს ერობის მოსამსახურეთა კავშირმა თავის ყრილობაზე დაადგინა გაიღონ მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ერთ-დღიური ჯამაგირი, რაიცა სავალდებულო იქნება აგრეთვე პროვინციაში მყოფ ერობის მოსამსახურეებისათვის. კავშირის დახმარება უდრის თითქმის 20000 მან.

ქართლის დამხმარე კომიტეტი სიღნაღში.

დამატებით მთავრობის თავმჯდომარისადმი 24 თებერვლიდან 207 დეპეშისა გაუწყებთ რომ დაარსდა როგორც სამაზრო ისე სათემო ქართლის დამხმარე კომიტეტი. სამაზრო ერობამ თავის მხრივ გადასდო 50000 მანეთი ხალხი გამოსთქვამს ღრმა მწუხარებას რაც თავს დაატყდათ ქართლელებს სულით და გულით სწირავენ აუარებელ სურსათს, ფულს და სხვა პირველ მოთხოვნილებათა საგნებს. სამაზრო ერობის თავმჯ. მათე აბდუშელაშვილი.

† იასე რაჭველი (მეხუზლა).

დღეს, შესრულდა ერთი წელიწადი, რაც ულმობელმა სიკვდილმა წუთი სოფელს გამოასალმა ქ. ლაგოდეხში, ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იასე მეხუზლა, (იასე რაჭველი).

ოთხმოციან წლებში ის იძულებული იყო საზღვარ გარედ წასულიყო, სადაც ცხოვრობდა ემიგრანტად ათინაში და სტამბოლში 1906 წლამდე. იქიდან სწერდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში წერილებს და მოთხრობებს და თვით სამზღვარგარეთაც დიდ დახმარებას უწევდა ყველა ქართველს, რომელიც კი შეხვდებოდა მას და განიცდიდა გაჭირვებას. სტამბოლში იასე რაჭველმა შეადგინა ქართული საზოგადოება და შეაერთა ქართული კათოლიკები, მაჰმადიანები და მართლმადიდებელნი, ვინც კი იყვნენ სტამბოლში სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იასე აღტაცებით შეუდგა სახალხო მოღვაწეობას და დიდი უნარიც გამოიჩინა.

მისი წერილები და მოთხრობები წიგნებად არის ცალკე გამოცემული და მრავალი კი გაფანტულია ჟურნალ გაზეთებში.

მადლიერი ქართველი საზოგადოება არ დაივიწყებს იასეს სახელს და მის ხსოვნას შეინახავს საუკუნოდ

გ.

რედაქტორი
«სარედაქციო კოლეგია»
გამომცემელი თბ. ვაჭ-მრ. კომიტეტი

რო ღრმა მისაზრება, ეს — მისი სრული შეუფერებლობა დღევანდელ ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებთან, მისი ანაქრონიული ხასიათი.

საგვარეულო ქონებას მხოლოდ მაშინ ჰქონდა აზრი, როდესაც საზოგადოებაში არსებობდა საგვარეულო წესწყობილება, როდესაც გვარის და მის წევრთა საზოგადოებრივი და პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა დამოკიდებული იყო უძრავ ქონებაზე, როდესაც ცალკე პიროვნება არ იყო თავისუფალი, როდესაც არ იყო დაგროვებული დიდი მოძრავი ქონება, როდესაც არ იყო განვითარებული მიცვლა მოცვლა. დღეს ყველა ეს პირობა შეცვლილია; პირისპირ დგანან თავისუფალი პიროვნება და მთელი საზოგადოება. გვარი როგორც ერთეული დაირღვა, — ის გადიყოლია მისმა სულის ჩამდგმელმა ფეოდალიზმა. ამიტომ დღევანდელ პირობებში საგვარეულო ქონების გამოყიდვის უფლება ეკონომიურ განვითარებას აფერხებს, ხელს უშლის უძრავ ქონებათა მობილიზაციას, აფერხებს კაპიტალს.

ასეთია ნამდვილი საბუთი საგვარეულო მამულების გამოსყიდვის უფლების გაუქმებისა.

საგვარეულო ქონებათა გამოსყიდვის უფლება გაუქმებულ უნდა იქნას, და რაც მალე მოხდება ეს გაუქმება, მით უკეთესია.

მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს გაუქმება.

ამ კანონს უნდა მიეცეს უკუქცევითი ძალა და ყველა ის საქმეები, რომელიც დაწყებულია ამ ნიადაგზე 1918 წ. მაისის 26-დგან უნდა გაუქმდეს ამბობს კანონპროექტის შემდგენელი. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს საქმეების გაუქმება როგორღაც ვერ გაგვიგია. საქმეების მოსპობა შეიძლება და გაუქმება კიდეც კანონისა.

მაგრამ დავიწყოთ იმ აზრის განხილვით, რომლითაც იწყება კანონპროექტის აღნიშნული დამატება, — კანონს უნდა მიეცეს უკუქცევითი ძალაო.

იურიდიულ მეცნიერების თვალსაზრისით, სთქვა ერთადერთმა მოწინააღმდეგემ იმისა, რომ ამ ახალ კანონ უკუქცევითი ძალა მიენიჭოს, იურიდიულ ნორმას ძალა აქვს მხოლოდ დღიდან მისი მიღებისა. ორატორი იმდენად გაუტაცნია აღშფოთებას, რომ მართალსა და სრულიად კანონიერი აზრისათვის რამდენადაც იგი შეეხება ზემოხსენებულ კანონპროექტს, მეტად აბსოლიუტური ფორმა მიუცია.

იურიდიულ მეცნიერების თვალსაზრისით ზოგ კანონს სრულებით არ შეიძლება მიეცეს უკუქცევითი ძალა, ზოგს კი უთუოდ უნდა მიეცეს. უკუქცევითი ძალა ექნება, მაგალითად ყველა იმ სისხლის სამართლის კანონებს, რომელნიც ან სრულებით ათავისუფლებენ სასჯელისაგან ამა თუ იმ დანაშაულის ჩამდენთ ანა და უფრო ლმობიერ სასჯელს აწესებენ ამა თუ იმ დანაშაულებისათვის. პირიქით, თუ სისხლის სამართლის კანონი პირველად აღიარებს რამე მოქმედებას დანაშაულად ან არსებულ დანაშაულობისათვის უფრო სასტიკ სასჯელს აწესებს, ასეთს კანონს უკუქცევითი ძალა ვერ მიენიჭება. როგორც მინიჭება უკუქცევითი ძალისა პირველ შემთხვევაში, ისე უარყოფა ამ ძალისა მეორეში დამყარებულია პიროვნების თავისუფლებაზე. პირველ შემთხვევაში და სჯის მოსპობა ან შემცირება ნიშნავს პიროვნების თავისუფლების გაფართოვებას და ამიტომ ცხადია, რომ ასეთი გარანტიაში არ ეთქმის უარი იმას, ვისაც დანაშაული ჩაუდენია უფრო სასტიკ კანონის დროს. ასეთივე გარანტია უნდა ჰქონდეს მას, ვისაც დანაშაული ჩაუდენია უფრო ლმობიერ კანონის მოქმედების დროს, — მას არ უნდა ეხებოდეს კანონის სისასტიკის გაძლიერება, ასე უყურებს იურიდიული მეცნიერება კანონის უკუქცევითი ძალის მინიჭებას სისხლის სამართალში.

სამართლის იმ დარგში, რომელიც ეხება საზოგადო სამართლის (публичное право) ხასიათის დამოკიდებულებათ, უკუქცევითი ხასიათი მუდამ ეძლევა ახალ კანონს. მაგალითად, თუ რამე არსებულ დაწესებულების მაგიერ შემოდის ახალი, ყველა ძველ დაწესებულებაში დაწყებული საქმეები უნდა გადაეცეს ახალს. აქ კანონის უკუქცევითი ძალა არ ეხება პიროვნების უფლებებს, არ სცვლის და არ ავიწროებს მათ.

სულ სხვანაირად სდგას საქმე სამოქალაქო კანონების შესახებ. აქ ყოველი ახალი კანონი არსებითად ეხება კერძო პირის უფლებებს და ამიტომ, თუ მას ეძლევა უკუქცევითი ძალა, იგი არღვევს უკვე შეძენილ უფლებათ, რომლის შეძენა და შენახვას უზრუნველს ყოფდა იგივე კანონი. სახელმწიფო მპირდება თავის კანონებით უზრუნველყოს ყოველი ის ჩემი უფლება, რომელიც ჩემს მიერ გამოცემულ კანონების თანახმად მაქვს შეძენილი და ამიტომ, თუ კანონის შეცვლასთან ერთად ახალ კანონს უკუქცევითი ძალა ენიჭება, მოქალაქეს სამართლიანი შიში ებადება იმისა, რომ არც ერთი მისი უფლება უზრუნველყოფილი არ არის. ამიტომაც იურიდიულ მეცნიერების თვალსაზრისით შეუძლებელია, რომ სამოქალაქო კანონს უკუქცევითი ძალა ენიჭებოდეს.

პროექტით საგვარეულო ქონების გამოყიდვის უფლება უქმდება, მაშასადამე ახალ კანონის საგანს უფლება შეადგენს და არა საქმე. საქმე მხოლოდ შედეგია უფლებისა. ამიტომ თუ მაინცა და მაინც საჭიროდ არის მიჩნეული წინააღმდეგ მეცნიერულ პრინციპისა, რომ საგვარეულო ქონებათა გამოსყიდვის უფლების შესახებ სამოქალაქო კანონს უკუქცევითი ძალა ენიჭებოდეს, ეს უკუქცევითი ძალა უნდა სპობდეს ამა თუ იმ მომენტიდგან უფლებას და არა საქმეს. ეს უკუქცევითი ძალა არ უნდა გამოიხატებოდეს იმაში, რომ ვსთქვათ, ისპობოდეს უფლება მოპოვებული 1914 წელს, ხოლო მოპოვებული 1915 წ. ძალაში რჩებოდეს.

არ უნდა გამოიხატებოდეს იმაში, რომ ორ ადამიანთა შორის, რომელთაც ერთ და იმავ დროს მიენიჭათ გამოსყიდვის უფლება, ერთს შერჩეს ეს უფლება და მეორეს ეკარგებოდეს.

რომ ეს ასე არ მოხდეს, საჭიროა მხოლოდ ერთი, რომ კანონი სწორედ იმაზე ლაპარაკობდეს, რაც მის საგანს შეადგენს, — ამ შემთხვევაში უფლებაზე და არა საქმეზე; საჭიროა ახალ კანონის უკუქცევითი ძალა შეფარდებული იყოს უფლების გაჩენის მომენტთან, ანუ, რაცა იგივეა, საგვარეულო მამულის გაყიდვასთან.

ამიტომ, რაკი ახალი კანონის ძალაში შესვლის მომენტად ნაჩვენებია 1918 წ. 26 მაისი, უნდა იყოს ნათქვამი, რომ ამ დღიდგან გაყიდული საგვარეულო უძრავ ქონებათა გამოსყიდვა აკრძალულია.

სამოქალაქო კანონისათვის უკუქცევითი ძალის მინიჭება მიუღებელია, მაგრამ ამ სახით იგი მაინც უფრო სამართლიანი იქნება, ვიდრე იმ სახით, რომლითაც მას პროექტი აძლევს.

იურისტი.

დიდი
საკომისიო
ბაზარი
დამფუძნებელ კრების ქუჩა
(სასახ. ქ. № 3.)
მაღაზია
ე. ცატუროვისა
ყიდულობს და იღებს კომისიაზე ყოველ გვარ საქონელს: ხალიჩებს, ავეჯეულობას, ჭურჭლეულობას, ვერცხლს, ოქროს და ბრილიანტს და სხვას. ახურდავებს ფულს 5—3

სწრაფად იყიდება
ექვს ადგილიანი
ავტომობილი
და
მოტოციკლეტი კოლიასკით.
მიხეილის ქ. № 144. ციკლომენის მაღაზიაში. 2.939 2—1

იყიდება ქუთაისში,
ორპირის ქუჩაზე ძმ. ლომაძეების
სახლები
ათას ოთხ კუთხ საჟენამდე ეზოთი, მოშენებულ სხვა და სხვა ხეხილ ვენახით. ქუჩის პირად შესაძლოებელია 12 მაღაზიის აგება.

ქირავდება
მიხეილის ქ., მწვანე ბაზართან. გოკიელოვების შენობების გვერდზე
მაღაზია, რომელშიაც მოთავსებულია სავაჭრო ვასო მარგველაშვილისა. ფასების გაგება შეიძლება თბილისში, მუხრანის ქ., 4, გიორგი ლომაძესთან. 2930 1—1

№ 32

ვაჭრობა და მრეწველობა

№ 32

საქართველოს ვაჭრო-სამრეწველო პალატის რედაქციით

ეკონომიური წერილები

წერილი II.

დიდის წინ დახედულობით და ფართო სახელმწიფოებრივი გამოცდილებით შემუშავებული ეკონომიური და ფინანსიური გეგმა სახელმწიფო მეურნეობის სფეროში იგივეა ეკონომიური პოლიტიკაა, რომლის დასახული მიზნები და მათი განმახორციელებელი საშვალებანი ილებენ დამთავრებულ სახეს ეკონომიურ კანონმდებლობაში. ეკონომიური კანონმდებლობა აწესრიგებს სახელმწიფოს და ინდივიდუალურ მეურნეობის მოქმედებას და განსაზღვრავს, თუ რამოდენად შეუძლია სახელმწიფოს ჩაერიოს კერძო მეურნეობათა ურთიერთობაში. ეკონომიური პოლიტიკა გამოიხატება კანონმდებელ და აღმასრულებელ უფლების მოქმედებაში, ე. ი. იმ სახელმწიფო დაწესებულებათა საქმიანობაში, რომელნიც შექმნილია სახელმწიფოსაგან დასახული მიზნების განსახორციელებლად. ამნაირად ეკონომიურ პოლიტიკის მთავარი გამოსავალი წერტი არის სახელმწიფო უფლება-კანონმდებელი და კანონის აღმასრულებელი.

რადგანაც ეკონომიური პოლიტიკის გეგმის ანუ პროგრამის საგანი — სახელმწიფო მეურნეობაა და იმისაგან დასახული მიზნები მეტად რთული და მრავალი დარგიანია, რაც თავის მხრივ გარდა დიდი ცოდნისა, გამოცდილებისა და ფართო სახელმწიფო ჰორიზონტისა, მოითხოვს ბევრს დროს ამიტომ იგი აუცილებლად დანაწილებულია სხვა და სხვა უწყებათა და დაწესებულებათა შორის. ეს გარემოება მეორე მხრით გვიკარნახებს, რომ ერთნაირი უნდა იყოს ყველა აღნიშნულ უწყებათა და დაწესებულებათა მოქმედების ხაზი. სახელმწიფო მეურნეობის სხვა და სხვა დარგის საქმიანობა უნდა იყოს ერთსულოვანი, მედროდ შეერთებული ერთი ხელმძღვანელი ნებით. ეს პრინციპი ფრიად შეგნებულათ უნდა იქმნეს დაცული მთავრობისაგან და მისი აღმასრულებელი ორგანოებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში ეკონომიური პოლიტიკა ჰკარგავს ფართო სახელმწიფოებრივ მიმართულებას და გადაიქცევა უბრალო უწყებრივ პოლიტიკათ, რაც იმის მომასწავებელია, რომ სახელმწიფოს არავითარი ხელმძღვანელი ეკონომიური და ფინანსიური გეგმა და პროგრამა არა აქვს.

მართლაც განა შესაძლებელია უძნელესი, რთული სახელმწიფო მეურნეობის საქმე შევზღუდოთ რომელიმე უწყების ფარგლებით. რამდენიც უნდა იყოს სამინისტრონი, რომელნიც განაგებენ სახელმწიფო მეურნეობის სხვა და სხვა დარგს, ყოველ შემთხვევაში ეკონომიური პოლიტიკა უნდა იყოს ერთი და მთლიანი, ყველა უწყება უნდა შეადგენდეს ერთს განუყოფელ ორგანულს, რომლის ქვა-კუთხედათ უნდა იყოს დადებული ერთობა — არა მხოლოდ ფორმალური, არამედ პრინციპიალური. ერთი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც გამოდის ერთი ცენტრიდან, შესძლებს მხოლოდ შექმნას ნორმალური პირობები სხვა და სხვა სახელმწიფო მეურნეობაში და მოსპოს შეუთანხმებელი და ხშირად ერთი მეორის წინააღმდეგი განკარგულებანი და განმარტებანი სხვა და სხვა უწყებათა. აქ მეტათ რთულ საპასუხისმგებლო საქმეში არც ერთი უწყებას არ უნდა ჰქონდეს უფლება გადადგას ნაბიჯი ერთმანეთთან და ცენტრთან შეუთანხმებლად.

ყველასთვის გასაგები და მარტივია ის ნათელი დებულება, რომ სახელმწიფოს აქვს ერთი ხაზინა, ერთი კასა; სრულიად შეუწყნარებელია რომ სხვა და სხვა უწყებას ჰქონდეს თავისი კასა, საიდანაც იგი ეწევა ხარჯს. ეს აზრი იმდენათ მარტივია რომ რაღაც უხერხულობას გრძნობ კაცი, როდესაც ამისთანა ნათელ და უდავო საქმეზედ უხდება ლაპარაკი მაგრამ განა დიდი ხანია რაც ეს საქმე მოწესრიგდა ჩვენში, თუ კი იგი მართლა საბოლოოდ მოწესრიგდა! ვინ არ იცის დღეს, რომ ყოველი სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულება და თანამდებობის პირი ვალდებულნი არიან მიაწოდონ სათანადო გადასახადთა ორგანოებს ყოველგვარი ცნობები, რომელთა საშვალებით შეძლება გამოირკვეს ამა თუ იმ სავაჭრო-საწარმოოს, მოიჯარადრის, საქონლის მიმწოდებლის და სხვათა წლიური ბრუნვა და მოგება. ზოგიერთი ესა თუ ის უწყება ითვლის და ზოგჯერ ასეული მილიონის იჯარით ეძლევა ამა თუ იმ სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებას, მოიჯარადრეს, ვაჭარს და სხ., მაგრამ არავის არავითარ ცნობას არ უგზავნის. ასეული მილიონის საქონელს იძენენ სხვა და სხვა ვაჭრებისგან და ყველა ამას საიდუმლოდ ინახავენ. ამნაირათ ხაზინა ჰკარგავს მილიონებს. ეს ხდება იმ დროს, როდესაც ჩვენ განვიცდით საშინელ ეკონომიურ და ფინანსიურ კრიზისს. ნუ თუ ეს არ არის ერთსულოვანი პოლიტიკა სახელმწიფო მეურნეობის მოწესრიგების საქმეში?!

როდესაც ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ფართო გეგმა სახელმწიფო მეურნეობის მოწესრიგებისა უნდა გამოდიოდეს ერთი სათავიდგან, რომლის ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი უნდა იყოს ერთი მტკიცე და შეურყეველი სურვილი და ნება, რომ ფინანსიური პროგრამა და პოლიტიკა ყველასთვის გამოაშკარავებული და ნათელი უნდა იყოს, ამით ჩვენ სრულებით არ ვიცავთ უკიდურეს ცენტრალიზმს. პირიქით, ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ არამც თუ ფართო ეკონომიური გეგმა, დასახული და გამომუშავებული აქ ცენტრში, არამედ ყოველი კერძო ფინანსიური რეფორმა გატარდება ცხოვრებაში და შეისხამს ნამდვილ სხეულს მხოლოდ ადგილობრივი ძალების შეგნებული დახმარებით. ყოველი გადადგმული ნაბიჯით ამ სფეროში მეტად დაინტერესებულნი უნდა იყვნენ ადგილობრივი თვითმართველობანი, რომ გატაცებით და თავდავიწყებით ანხორციელებდნენ ცხოვრებაში სახელმწიფო მეურნეობის ყოველ რეფორმას.

მაგრამ ეკონომიური პოლიტიკა, საერთო მოხაზულება სახელმწიფო მეურნეობისა უნდა იყოს ერთი და მთლიანი, და სწვდებოდეს ღრმათ და ფართოდ, მთელ სახელმწიფოს ტერიტორიას ცენტრიდან დაწყებული პერიფერიამდე. ეს მიმართულება სასტიკად და შეურყევლად უნდა იქმნეს დაცული.

დამეთანხმეთ, რომ სრულიად შეუწყნარებელი თავგასული და შეუწყნარებელი თვითნებობა რომელიმე ადგილობრივი თვითმართველობისა, რომელიც აწარმოებს საკუთარს კანონმდებლობას, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. იგი აწესებს დამფუძნებელ კრების და მთავრობის ნებადაუკითხავად ახალ გადასახადებს და წარმოუდგენლად აგროვებს.

ასეთი არა სასურველი მოვლენა მთავრობის სისუსტის მომასწავებელია და თუ ეს ექსპერიმენტები ეხლავე სასტიკი ზომებით არ იქმნა მოსპობილი, ასეთი პოლიტიკა ცენტრალური მთავრობის ავტორიტეტის დამღუპველი იქნება და მომავალში უფრო მეტს ზიფათს და უსიამოვნებას გვიმზადებს.

მეორე მხრით უნდა აუცილებლათ ვიქონიოთ მხედველობაში ის გარემოებაც, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში ადგილობრივი თვითმმართველობა (ხოველი ორგანო ცენტრალური მთავრობისა; ამიტომ სრულებით ბუნებრივი და მიზან-შეწონილია, როდესაც ცენტრი, დატვირთული ფართო სახელმწიფოებრივი საქმეებით პრაქტიკულ სფეროში უთმობს ადგილობრივ კავშირებს აღმასრულებელ ფუნქციებს, რაც იწვევს ეროვნული ენერგიის ამოძრავებას, დიდ მუშაობას და ჰქმნის საუკეთესო განწყობილებას ცენტრსა და ადგილობრივ თვითმართველობათა შორის, რაც უდიდესათ საჭიროა ჩვენთვის.

დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ ფართო ეკონომიური და ფინანსიური გეგმა სახელმწიფო მეურნეობის მოწესრიგებისა თავისთავად გულისხმობს, რომ ცენტრმა, რომელიც ამ სფეროში უცილობლად ხელმძღვანელია, განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოისმინოს ადგილობრივ კავშირთა თავისუფალი და ახალი აზრი. სრულებით წარმოუდგენელია, რომ ცენტრმა დაწვრილებით გაითვალისწინოს სახელმწიფოს ყოველი კუთხის მდგომარეობა, სანამ იგი არ გაეცნობა ადგილებიდან წარმოდგენილ გეგმას და მოსაზრებას.

შეთანხმებული ერთმანეთთან სხვა და სხვა ეკონომიური და ფინანსიური რეფორმები, რომ მიზან შეწონილათ, ნაყოფიერათ და მომარჯვებულათ გატარდეს ცხოვრებაში, ამისთვის აუცილებლივ საჭიროა ადგილობრივი ძალების გამოყენება მთელი მათი შეძლებლობით და შემძლებლობით.

მაგრამ ეკონომიური გეგმა რომ განხორციელდეს და გადაიქცეს ნამდვილ ფაქტორად ეროვნულ მეურნეობისა და საწარმოო ძალთა განვითარების საქმეში, ამისათვის საჭიროა სერიოზული და მეცნიერული გამოკვლევა და გამორკვევა იმისა, თუ როდის უნდა გატარდეს ცხოვრებაში დასახული რეფორმა. ეკონომიური გეგმა, ანუ ფინანსიური რეფორმა არ შეიძლება წარმოვიდგინოთ გარეშე დროისა და ადგილისა. რაც დღეს ეკონომიური გეგმა მისთვის გამოსადეგია, ხვალ უკვე უვარგისია. დღევ ეკონომიური ცხოვრების პირობები ჩვეულებრივათ კი არ მიმდინარეობენ, არამედ სოციალი სისწრაფით მიმქრიან წინ და როგორც ხალხის ისე სახელმწიფო მეურნეობის კონკრეტიული პირობები საშინელი სისწრაფით იცვლებიან.

ამიტომ ეკონომიური გეგმა და მთელი რიგი ეკონომიური რეფორმებისა მაშინ იქმნებიან მიზანშეწონილი და გონივრულ საფუძველზედ აშენებული, როდესაც ისინი არიან შეთანხმებული დროსთან, ადგილთან და გარემოებასთან.

ა. გ—ძე.

თამბაქოს ცენტრალური რაიონი

თამბაქოს მოყვანის ცენტრალურ რაიონს შეადგენს ქუთაისის გუბერნია. ქუთაისის გუბერნიაში თამბაქოს კულტურა არ არის ხაზმოდ განვითარებული, თამბაქოს მოყვანას მისდევენ მხოლოდ ადგილობრივი მკვიდრი მცხოვრებნი. უმაღლეს ღირსების თამბაქოდან კეთდება სამპსონი, უმცირეს ღირსების გადაგვარებული სამპსონი და ცირკინი. უფრო მოფენილია თამბაქოს მოყვანა გავრცელებულია მხოლოდ ოზურგეთის მაზრაში (ჩოხატაურის რაიონი), უფრო ნაკლებათაა ქუთაისისა და ზუგდიდის მაზრებში, ძლიერ მცირეა შორაპნის მაზრაში, დანარჩენ ადგილებში თამბაქოს მოყვანას სრულებით არ მისდევენ.

ცენტრალურ რაიონში თამბაქოს მოყვანის ცნობები გამოიხატება ამ გვარათ:

სამრეწველო პლანტაციები იყო:

წლები	რაოდენობა პლანტაც.	სივრცე (დესეტ.)
1913	1.400	238.1
1914	1.279	475.5
1915	1.449	351.1
1916	1.252	270.5
საშუალო	1.345	321.2

საერთო მოსავალი თამბაქოსი და დესეტინიდან საშუალო გადასახადი იმავე წლებში გამოიხატება ასე:

წლები	მოსავალი ფუთობ.	საშუალო გადასახ. დეს.
1913	10 745	43
1914	21.852	52
1915	16 999	49
1916	16.189	60
საშუალო	16.301	51

გარდა სამრეწველო პლანტაციებისა, რომელთაც უჭირავთ შედარებით საკმაოთ დიდი სივრცის ადგილები, ამ გუბერნიაში არის მრავალი წვრილი პლანტაცია სასოფლო-სამეურნეო, ზომით თითოეული 50 ოთხ-კუთხს საჟენზე ნაკლები. ასეთი პლანტაციები იყო:

წლები:	რაოდ. პლანტ.	სივრ. დეს.
1913	2.333	16,7
1914	3.207	20,3
1915	4.789	31,4
1916	3.965	31,5
საშუალო	3,673	24,9

მოსავალი თამბაქოსი სასოფლო-სამეურნეო პლანტაციებზე გამოიხატება შემდეგი ცნობებით:

წლები:	გარიგ. ფუთ.	საშ. გარიგ. დეს.
1913	1 001	60
1914	1.342	65
1915	2.042	66
1916	1.932	60
საშუალო	1.579	63

ცენტრალური რაიონის თამბაქო მიდის უმთავრესად თბილისის გუბერნიაში და იქ მზადდება ადგილობრივ ქარხნებში. უფრო ცოტა იგზავნება ბაქოში (დაახლოვებით მოსავლის ერთი მეათედი), რუსეთში და საზღვარგარეთ თამბაქო სრულებით არ მიდის.

ფასები ქუთაისის თამბაქოზე ჩვეულებრივ ნაკლებია. უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში მეტნაკლებობით ასეთი ფასები იყო:

წლები	ნარევი	ცალკე
	1 მე 2 და 3 ხარ.	3 ხარისხი
1913	6—7 მან.	4 მან.
1914	8—9 მან.	4—5 მ.
1915	9—15 მ.	5—6 მ
1916	24—26 მ.	12—13მ.
1917	80—85 მ.	— —

როგორც ამ ნუსხიდან სჩანს, ქუთაისის თამბაქოზე ომის დროს ფასმა აიწია ერთი ათად; ღირდა ფუთი 8—10 მან. და მიაღწია 80—85 მანეთამდე. საყურადღებოა, რომ ჯერ ისევ 1914 წლიდან (დასაწყისი ომისა) ბაზარზე აღარ გამოჩნდა I და II ხარისხის თამბაქო: ყველა ხარისხის თამბაქო ერთად არის შერეული და, მიუხედავათ ამისა, ფასი, ფასი თამბაქოსი განსაკუთრებულად იზრდება.

ცენტრალური რაიონიდან ფუთობით თამბაქოს გამოტანის ცნობები შემდეგია:

გატანილია ქუთაისის გუბერნიიდან თამბაქო ფუთობრობით:

1913 წელს	
რუსეთში	1616 ფუთ.
თბილისის გუბერნიაში	703 „
ბაქოში	7776 „
ბათომში	2139 „
სულ	12134 ფუთ.
1914 წელს	
სოხუმში	20 ფუთ.
რუსეთში	78 „
თბილისის გუბერნიაში	9300 „
ბაქოში	804 „
სულ	10202 ფუთ.
1915 წელს	
სოხუმში	3244 ფუთ.
რუსეთში	5809 „
თბილისის გუბერნიაში	2677 „
სულ	11730 ფუთ.
1916 წელს	
სოხუმში	86 ფუთ.
თბილისის გუბერნიაში	15964 „
ბათომში	— „
სულ	16050 ფუთ.

ამ გვარათ საშუალო გატანა თამბაქოსი ოთხის წლის განმავლობაში გამოიხატება ასე:

სოხუმში	837 ფუთ.
რუსეთში	1886 „
თბილისის გუბერნიაში	7163 „
ბაქოში	2145 „
ბათომში	535 „
სულ	12524 ფუთ.

ვ. ქ.

თანამედროვე მდგომარეობა მარგანეცის მრეწველობისა

წერილი მეხუთე.

(დასასრული)

უკანასკნელი პროგრესი განიცადა მხოლოდ მარგანეცის ღირსების გაუმჯობესებამ რეცხვის საშუალებით და მეორე როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ მარგანეცის ტრანსპორტმა. სარეცხი ქარხნების შენება დაიწყო ამ საუკუნის პირველ წლებში. პირველი ნაბიჯის გადადგმა ამ მხრით ხვდა ბელგიელ საზოგადოებას დარკვეთში, ამასთან შეჰყვნენ ქართველი მრეწველნიც და ამ უკანასკნელ დროს ეს მხარე მარგანეცის მრეწველობისა საკმაოთ განვითარდა. საერთოდ დღეს სარეცხი ქარხნების საშუალებით შეიძლება სხვა და სხვა ღირსების მარგანეცის დამზადება რაოდენობით 30—40 მილიონ ფუთამდის. ხოლო დღემდის გარეცხილი მარგანეცი მეტი წლიურათ არ დამზადებულა არა იმიტომ რომ ეს ქარხნების საწარმოვო უნარს არ შესძლებოდეს, არამედ მხოლოდ იმიტომ რომ მეტის ან მოთხოვნილება არ იყო ან კიდევ სხვა რამ მიზეზის გამო; ხოლო რაც შეეხება მათ საწარმოვო უნარს ეს შეიძლება აყვანილ იქმნას თითქმის 70 მილიონ ფუთამდის. მთელი რიცხვი ქარხნებისა დღეს არის ოცდა ათამდის; სოფელ ღვიმევშია ხუთი, შუქრუთში — 4, რგანში — 3, ზედარგანში — 5, პერევისაში — 7, ითხვისში — 2, დარკვეთში 1 და ხალიფაურში 3. სულ ოცდა ათი. ეს ქარხნები შემდეგნაირათ მიეკუთვნება ასე ნაწილდებიან: ქართველების არის 18 ქარხანა, 12—არა ქართველების; ამ უკანასკნელთა ქარხნები ასეა განაწილებული: ფრანგებისა — 1, ბელგიელთა — 1, გერმანელთა — 3, ინგლისელთა — 1. სომხებისაა 3 და ნარჩენი 3 ბერძნების. თერთმეტი ქართველების ქარხნებიდან სააქციონერო საზოგადოების გარეშეა დარჩენილი სამი ქარხანა, თუთხმეტი კი დღეს სააქციონერო საზოგადოებას ეკუთვნის. 1912 წელში ქართველების ქარხნებში გარეცხილა 12.000 000 ფ. არა ქართველების ქარხნებში 10.126,000 ფუთი მარგანეცი. დაახლოვებითი უნარი დღიური იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ჩვენ ხელშია, რომელიც ეგიზატავს ფაქტიურ ნაწარმოებს, ქართველი ყველა ზავოდების დღიური ნაწარმოები უდრის 165 500 ფუთს ურეცხავი ე. ი. არა ქართველების ქარხნების ნაწარმოები კი უდრის დღიურათ 106 000 ფუთს. აქ არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ, რომ არა ქართველთა ქარხნები უფრო კარგათ არიან მოწყობილნი ტეხნიკურად და წარმოების უნარიც მეტი უნდა ჰქონდეს. ხოლო ერთ ახირებულ გარემოებას აქვს ადგილი ამ საქმეში: მიუხედავად იმისა რომ უცხოელების ქარხნები ბევრად უკეთ არიან გაწყობილნი, ვიდრე ქართველების, მიუხედავათ იმ დიდი თანხებისა, რომელიც მათ ჩაჰყარეს საქმეში, მათ ქარხნებს ბევრათ მეტი მუშა ხელი სჭირდებათ ვიდრე ქართველების უბრალო და პატარა ქარხნებს, სადაც მუშის საწარმოვოო უნარი (производительность) უდრის თითქმის ორჯერ მეტს უცხოელების დიდ ქარხნის მუშისას. მაგალ. 1912 წელს დარკვეთის ქარხნის ერთი მუშის ერთი წლის გარეცხილი ქვა უდრის 40,447 ფუთის და ჩვეულებრივ პატარა ხალიფაურის ქარხანაში ერთი მუშა წლის განმავლობაში რეცხს 80,271 ფუთს.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ ეს ქარხნები აშენდა ამ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში. ქრონიკულად თუ განვიხილავთ, ვნახავთ რომ პირველი ქარხანა აშენებულ 1898 წელში ამ წლიდან მოყოლებული 1910 წლამდის თითო ქარხანა ემატებოდა ჭიათურის რაიონს ყოველ წლივ. 1910 წელში დაუწყიათ მოქმედება ახალ 3 ქარხანას, 1911 წელში ახალს 8 ქარხანას, 1912 წელში, ახალ 5 ქარხანას და 1913 წელში ახალ 1 ქარხანას. ამ და მოლო ხანებში, ცალკე ომის გამო მეორეს მხრით რევოლიუციის მიზეზებით, ახალი ქარხანა აღარ აშენებულა, ხოლო ის 7 ქარხანა, რომელნიც ომის წინათ იყო გამოწყობილი, ამ ხანებში დასრულდა და დღეს დღეობით მოქმედებას დაიწყებს.

მეორე თვალსაჩინო გაუმჯობესება განიცადა სატრანსპორტო საშვალებათა ტეხნიკურათ მოწყობამ. ამ დარგს უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს, ვიდრე სარეცხ ქარხნების შენებას. როგორც ზევით მოვიხსენიეთ პირველი მავთულის ჩამოსაშვების გაკეთებას შეეცადა და კიდეც მოაწყო იტალიელმა ინჟინერმა პიომ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, ხოლო ეს მოწყობილებაცა და მისი ფართე განზრახვებიც ჩაფუშა სხვადასხვა მიზეზების გამო. ამის შემდეგ დიდმა დრომ გაიარა სანამ ეს საკითხი ჭიათურის რაიონში პრაქტიკულად დაისმოდა. მთელი 17 წლიწადი ისე გავიდა ჭიათურის მრეწველობაში, რომ რომ არც ერთი ღონისძიება ამ მხრით არ ყოფილა მიღებული. მხოლოდ როდესაც მრეწველთა მიეცათ საშვალება თავიანთ ყრილობებზე საერთო ხმით ელაპარაკნათ და თავისი ორგანო მრეწველთა საბჭო აერჩიათ და ეს მოხდა მხოლოდ 1896 წელში, ამ დღიდან იწყება ამ მხრით მეტი ზრუნვა; პირველადვე დაისვა კითხვა როგორც საურმე გზების გაყვანის, ისე მავთულიანი ჩამოსაშვების გაყვანის შესახებ. მაგრამ ჭიათურის მრეწველთა საბჭოს სურვილები, სურვილებად დარჩა, საშუალების უქონლობის გამო, მხოლოდ საურმე გზები სიგრძით თითქმის 70 ვერსი კი გააკეთა; 19 ჩამოსაშვების გეგმა, რომელიც ხარჭოს ინჟენერმა შეადგინა, ეს გეგმა კი გეგმათ დარჩა და საბჭომ შესძლო მხოლოდ ერთი დიდი ჩამოსაშვები დევიშეში გაეკეთებინა, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია მრეწველების ერთ ჯგუფს. თუმცა საბჭომ თავათ ვერ შესძლო მეტი გაკეთება ამ დარგში, მაგრამ ისიც დიდი საქმე შეიქნა მრეწველობისთვის, რომ ეს საკითხი ასწია ყრილობებზე; ნათელყოფილი ხდებოდა ეს ტეხნიკურათ ტრანსპორტის მოწყობისა, რაც ხელს უწყობდა და აუმჯობესებდა მრეწველს, ხოლო [illegible] რენათ ამ მხრით და მართლაც მხრითაც ჭიათურის რაიონში საქმე სანუგეშოთ მიდიოდა რამ ომს დღემდის. პირველ ყოვლისა უნდა ითქვას რომ არ არის არც ერთი ქარხანა, რომ მას თავისი ჩამოსაშვები ან მავთულისა და ან ბრენსბერგის ტიპისა არა ჰქონდეს. რამოდენიმე ალაგას არის მავთულის ჩამოსაშვებები, რამოდენიმე ბრენსბერგის ტიპისა: ეს უკანასკნელნი წარმოადგენს თავდაღმართზე დაგებულ რკინის გზის ორმაგ ლიანდაგს, რომელზედაც ორი ვაგონი დადის ერთი ცარიელი ძირიდან მაღლა, მეორე სავსე მაღლიდან ძირს, და რადგან სავსე ვაგონის სიმძიმე ზევიდან დაშვებულს ცარიელ ვაგონს ზევით ამწევს, ამის გამო იგი არის მეტად იოლი და იაფი. ალაგ ალაგ სადაც ადგილის მდებარეობა ხელს უწყობს, მრეწველთ აქვთ გაკეთებული ჩამოსაშვები ღარები, ან მილები სრულიად უბრალოთ გაკეთებული; არის აგრეთვე რამოდენიმე ალაგს უბრალოთ მოწყობილი მილები ან ღარები, რომელთა საშვალებით, მაღლიდან მარგანეცი მოაქვს თვით წყალს, და ჩამოაქვს ერთ დიდ აუზში, სადაც მარგანეცი რჩება და ნარეცხი წყალი კი გადადის, ასე რომ ამ ტიპის ჩამოსაშვები ორ სამსახურს უწევს მრეწველს: მარგანეციც გადმოაქვს და კიდეც ჰრეცხავს. ყველანაირი ტიპის ჩამოსაშვები ჭიათურის სამრეწველო რაიონში ორმოცამდის იქნება, ხოლო ყველა ეს ფრიად მცირეა იმ მოთხოვნილებასთან, რომელსაც მრეწველობა უყენებს ტრანსპორტს. არა ერთხელ ყოფილა აღძრული საკითხი მაღაროებში რკინის გზების შტოების გაყვანის შესახებ, ხოლო უკანასკნელ დრომდის, ეს საკითხი გადაუწყვეტელი რჩებოდა. ფრიად საჭირო და მიუცილებელია მისი განხორციელება განსაკუთრებით დღეს. განსაკუთრებით დღეს-თქო მოგახსენებთ იმიტომ, რომ აღარ არის იმდენი ცხენი, აღარ არის იმდენი ხარ-კამეჩი ეს ყველა ომმა ჩანთქა და დღეს მეტად ძნელ მდგომარეობაში ჩავარდება მრეწველობა თუ ამ საკითხს ბოლო დროით არ მიხედა. ამ საკითხს ბევრი მხარე აქვს და ამის შესახებ ცალკე მოგვიხდება ვაასი მკითხველთა, ხოლო აქ გაკვრით მოვიხსენიებთ და უნდა დავსძინოთ რომ თუ დღეს მრეწველნი ამაზე არ ყვირიან მაღლა იმიტომ, რომ ჯერ-ჯერობით დამზადებული ქვა მთლიანათ აქვთ და როდესაც ეს ქვა გავა და ახალის დამზადებას შეუდგებიან, მაშინ უკვე გვიან იქნება. ჩვენი უბედურებაც იმაშია სწორედ რომ წინდაწინ არაფრის განჭვრეტა არ გვიყვარს და ბოლოს სინანული კი [illegible] მრეწველთ უშველის და მთავრობისაც დიდ ზარალს მიაყენებს. ყოფილმა [illegible] საბჭომ ამ საკითხს გადაჭრა და საჭირო ნებართვა გამოითხოვა მთავრობისაგან. ფრიად საჭიროა და სასურველია რომ ამ საკითხს სათანადო ანგარიში გაუწიოს. ვინემც ჯერ არის. ასეა თუ ისე ამ მხრით კერძო თაოსნობით თუ საბჭოს საშუალებით ცოტა რამ არის გაკეთებული ხოლო უფრო მეტი კიდევ დარჩენილია გასაკეთებელი, ვინაიდგან ეს მხარე მარგანეცის მრეწველობაში მეტად საჭიროა და ცოტა რაიმის გაკეთება ამ სფეროში თითქმის არაფრის გაკეთებას უდრის. როდესაც მარგანეცის ტრანსპორტის საკითხს ვეხებით არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის მცირედი გაუმჯობესება რომელიც მოხდა თვით მაღაროებში ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში: საერთოდ მარგანეცი მაღაროებიდან გამოქონდათ კალათების საშუალებით ხელით, ამ ბოლო ხანებში მაღაროებში შემოიღეს რკინის ლიანდაგი და ცხენიანი ვაგონები, ამ გარემოებამ დიდათ გაუადვილა მრეწველებს მარგანეცის დამუშავება; ხოლო სამწუხაროთ ყველას არა აქვს ეს მოწყობილება შემოღებული, განსაკუთრებით ყოფილ წვრილ მრეწველთ; მაგრამ ეხლა მათი მდგომარეობა შეიცვლება ამხანაგობების გამო და საფიქრებელია რომ ეს საზოგადოება არ დაიყოვნებს ამ გაუმჯობესებების საერთოდ შემოღებას თავის წარმოებაში, მით უმეტეს რომ ამისათვის მას საკმაო მასალა აქვს გადაცემული ძველი ექსპლოატორებისაგან.

სააქციო საზოგადოებას მიღებული აქვს 7400 საჟენზე მეტი რელსი და 140 მაღაროს ვაგონი.

Tertius.

სტამბა სამხედრო სამინისტროსი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.